წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
განათლების მიმართულება

ნინო მიქელაძე

მოსწავლის შეფასების პრობლემები

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი პედაგოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი დედა ბარბარე (მეგრელაძე)

ხიჭაური 2021

სარჩევი

ანოტაცია----------3

შესავალი----------5

თავი I მოთხოვნები მოსწავლეთა შეფასებისთვის

&1 მოსწავლეთა შეფასებისთვის ზოგადი მოთხოვნები----------10

&2 შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში,რიგორც

სახელმწიფი ენისთვის----------18

&3 მოსწავლეთა შეფასების საკითხი საგნობრივი ეროვნული

სასწავლო გეგმის მიხედვით----------23

თავიII მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მეთოდი, სქემები, ფორმები

&4 მონიტორინგი, შემოწმება,შეფასება და ანალიზი----------32

&5 შეფასების ფორმების, სქემების ნიმუში----------39

&6 პრეზენტაცია როგორც შეფასების მეთოდი----------55

დასკვნა----------63

დანართი----------65

ლიტერატურული დასახელება----------67

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ,,მოსწავლეთა შეფასების პრობლემა“ მოიცავს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მიღწეული დონის შედეგების განსაზღვრას და შესაბამისი გეგმების მიზანმიმართულად წარმართვას.

ასევე შეფასების დროს უნდა გავითვალისწინოთ ეროვნული სასწავლო გეგმაში განსაზრვრული შეფასების მიზნები, რომლის მიხედვით შევძლებთ სწავლის ხარისხის მართვას და მონიტორინგს. შეფასება არსებობს ორი სახის განმსაზღვრელი და განმავითარებელი, რომელსაც ვიყენებთ ყველა საფეხურზე და ყველა კლასში საგნის სწავლების შესაბამისად. მასწავლებელი შეფასების დროს ასევე ითვალისწინებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, სადაც ყურადღება არის გამახვილებული მოსწავლის შეფასების საკითხებზე და შეფასების პრინციპებზე: ობიექტურობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

ნაშრომში საუბარია მოსწავლის შეფასების დროს უახლოეს ფორმებზე,რომელიც შეიძლება იყოს რუბლიკა, თვითშეფასება და სხვათა შეფასების სქემები, მასწავლებლის დაკვირვება, პროექტი და ა.შ.შეფასების მოთხოვნების განხილვისას დიდი ყურადღება ეთმობა პრეზენტაციას როგორც შეფასების ფორმას, რომლის გამოყენებისას მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობის, შემოქმედებისა, კრიტიკული აზროვნება და წყვილებში მუშაობის უნარ-ჩვევები. შეფასების ფორმები და მეთოდები ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ნაშრომში გასაგებად არის წარმოდგენილი მასალები ნიმუშების, რჩევების, რეკომენდაციების სახით, რომელთა პრაქტიკული სახით გამოყენება შესაძლებელია. მოსწავლეთა შეფასება საგაკვეთილო პროცესში აქტუალური საკითხია, რომელიც მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რადგან შეფასების გზით,რაც მთავარია სწორი შეფასებისას ჩამოყალიბდეს საზოგადოებისთვის/ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მამულიშვილი.

Annotation

The master's thesis "The problem of student assessment" includes the assessment of students in the lesson process,which helps to determine the results of the achieved leved and to guide the relevant plans purposefully.

Also,during the evaluation,we should take into account the evaluation goals defined in the natianal curriculum,according to which we will be able to manage and monitor the quality of learnig.There are two types of assessment: formative and definitive,which we use at alllevels and in all classes according to the teaching of the subject.The teacher also considers the professional standard of the teacher during the assessment,where the focus is on the student assessment assues and the principles af assessment: objectivity,validity,transparency.

In the thesis discusses the closest forms of student assessment,which can be rubrics,self-assessment and ather assessment schemes,teacher abservation,project,etc.When discussing assesment requirements,mach attention is paid to presentation as a form of assessment that uses the student to develop the skills of collaboration,creativity,critical thinking and worqing in pairs.Assesment forms and methos are used effectively in the learning process.

Thesis presents materials in the form of sampies,tips,recommendations,which can be used in a praqctical way.student assessment is a topical issue in the lesson process that is constantly changing,because through assessment,the main thing is to form a significant parriot for the community/country through correct assessment.

შესავალი

თემის აქტუალობა

მოსწავლეთა შეფასება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.იგი ხელს უწყობს მიღწეული შედეგების დონის განსაზღვრას და შესაბამასი მუშაობის მიზანმიმართულ წარმართვას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანია სასწავლო-სწალების ხარისხის მართვა, რაც გულისხობს ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.

შეფასების ამოცანას წარმოადგენს აჩვენოს მოსწავლის ცოდნის დონე ახალი ცოდნის მიღებამდე, გამოავლინოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარე. ეს მონაცემები განსაზღვრავს სწავლა-სწავლის მიმართულებას და შინარს მოსწავლეთა განვითარებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმა მუდვივ ცვლილებაშია, ამჯერად მუშავდება ახალი პროექტი რომლის მიხედვით მერვე კლასამდე საშინაო დავალებები არ შეფასდება ქულებით. ამის გათვალისწინებით განმავითარებელი შეფასება ეხება მხოლოდ მოსწავლის ცოდნის და უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

მოსწავლის მუშაობის შეფასება უდიდეს როლს ასრულებს სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. სწორად შეფასებას შეუძლია გაამდიდროს მოსწავლე, ხოლო არასწორმა შეფასებამ შეუძლია წელში გატეხოს და დააეჭვოს თავის ძალებში.

მასწავლებელი, რომელიც ხშირად ახდენს მოსწავლის შეფასებას და ეს შეფასება წამახალისებელია, იგი ხელს უწყობს მოსწალის მოტივაციის ამაღლებას უკეთესი შედეგებისთვის. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეთა შეფასებაში ასახული უნდა იყოს ცოდნისა და უნარების ხარისხობრივი ანალიზი, ყველა დადებითი სუსტი მხარის მითითებით. განსაკუთრებით საყურადღებოა: თუ ვინ აფასებს,რა არის შეფასების მიზანი, რა ფასდება.

წარმატებული მასწავლებლის გამოცდილებაზე შესწავლამ ცხადყო, რომ მათი წარმატების განმაპირობები არის ცოდნის სხვადასხვა სახის გამოყენება: ჩათვლა, რეცენზია, კომენტარი, კითხვაზე პასუხი, წერითი უკუკავშირი და ა.შ. ამოსავალი

წერტილია მათვის, რომ მოსწავლემ იცოდეს რა მიღწევა ამით, რაშია ნაკლი და როგორ გაასწოროს იგი. ქულის გარეშე შეფასებას თვითშეფასების უნარის განვითარებაზე მიჰყავს მოსწავლე.

შეფასების კრიტერიუმები კლასების და საფეხურების მიხედვით სხვადასხვაგვარია. იგი გამომდინარეობს იმ მისაღწევი შედეგების სტანდარტიდან რაც უნდა იცოდეს ამა თუ იმ კლასის მოსწავლემ, ყურადღება ექცევა ცოდნის მოცულობას, სიღრმეს, კონკრეტულობას, პრაქტიკაში გამოყენების უნარს, გათავისებას, ახალი ცოდნის წინაპირობის შექმნას.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების არჩევანი დამოკიდებულია მასწავლებლის პროფესიონალზე, კლასის საჭიროებაზე, მისაღწევ შედეგზე. იგი შეიძლება იყოს ყოველდღიური, კვირეული, თემატური, საკლასო კონფერენცია, მცირე რეფერატის დაცვა,ოპონენტობა და ა.შ. შეფასებისას მთავარია მოსწავლემ კარგად გაიაზროს რას მიაღწია და როგორ იმუშაოს სუსტი მხარის დასძლევისთვის.თითონ შენიშნოს თავისი ნაკლი და შეძლოს მისი გამოსწორება დამოუკიდებლად.

მოსწავლეთა შეფასებისთვის მასწავლებლის დამოკიდებულების ზოგიერთი საკიტხები ჩამოყალიბებულია მასწავლებლის პრობესიულ სტანდარტში. სადაც უმთავრესი მოთხოვნა არის შეფასების გამოყენება მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების გამოყენებისთვის, შეფასების პრინციპების: ობიექტურობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა.

მოსწავლეთა შეფასება ორი სახისა განმსაზღვრელი, რომლის მიზანი მიღწეული დონის ქულების შეფასება და განმავითარებელი, რომლის მიზანი მიღწეული დონის გაუმჯობესება და სასურველი შედეგის მიღწევა.უპირატესობა განმავითარებელ შეფასებას ენიჭება. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეებეებია, კერძოდ რადმენამდე შემცირდა განმსაზღვრელი შეფასების ძირითადი ფორმა, შემაჯამებელი დავალებებბი.

შეფასებასთან დაკავშირებით ჩატარებულია კვლევები, როგორც მეცნიერთა მიერ,ასევე მოქმედი მასწავლებელთა მიერ პირადი პედაგოგიური პრაქტიკის ფორმით.პედაგოგიურ მეცნიერებაში დიდი ადგილი ეთმობა შეფასების საკითხებს (დ.ლორთქიფანიძე, ვ.გაგუა, ა.გობრონიძე, ი.ბასილაძე, ნ.ბასილაძე, მ.ბოჭორიშვლი,

ს.ლობუნაძე და სხვა). აკადემიკოს შალვა ამონაშვილი მიიჩნევდა რომ ,,უნიშნო“ სწავლა არის მთავარი წარმატებაში. მოსწავლისთვის ცოდნის დემონსტრირება პირადი სისუსტის დადგენა იყოს და არა ქულების დაგროვება. ამასთან მნიშვნელოვნად მიაჩდა ამ მიმართულებით მასწავლებლის როლი. ,,ჩემი პროფესიული გამარჯვება წარმატებული მოსწავლე წარმატებული რომ იქნება-ეს კი არ არის, არამედ ის რითაც ჩამორჩენილი წარმატებას მიაღწევს“.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალფეროვანია შეფასებასთან დაკავშირებული შრომები და კვლევები,შეფასება მაინც რჩება ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად და შეიძლება ითქვას თავსატეხი მასწავლებლისთვის.

პედაგოგიურ პროცესზე დაკვირვებამ მოსამზადებელ ჯგუფებში მუშაობამ დამანახა, რომ შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევა კვლავ აქტუალურია. საძიებელია ახალი გზები, მიდგომები, საშუალებები, რომელიც დაკავშირებულია ახალი მოთხოვნების განხორციელებასთან. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე საკვლევ თემად შემერჩია ,,მოსწავლეთა შეფასების პრობლემები“.

კვლევის მიზანი: მოსწავლეთა შეფასების ახალი მოთხოვნების ანალიზი და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისი შეფასების ფორმების და მეთოდების შერჩევა.

კვლევის ამოცანები:

1. განათლების საკანონდებლო დოკუმენტების საფუძველზე გაანალიზდეს მოსწავლეთა შეფასებისთვის ახალი მოთხოვნები;
2. განისაზღვროს მოსწავლეთა ცოდნის მონიტორინგის შემოწმების, შეფასების მახასიათებლები;
3. შერჩეულ იქმნას შეფასების ფორმები და მეთოდები;
4. განხილული იქმნას პრეზენტაცია, როგორც შეფასების ფორმა.

კვლევის მეთოდები: დაკვირვება, ანალიზი, სამაგიდო კვლევა, პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა.

კვლევის მეცნიერული სიახლე: ნაშრომში გაანალიზებულია მოსწავლეთა შეფასების უახლესი მოთხოვნები და მის საფუძველზე მოცემულია შეფასების დონეები, ფორმები და მეთოდები, რომელთა გამოყენება ეფექტურია სასწავლო პროცესში

მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით. განხილულია პრეზენტაცია, როგორც შეფასების ფორმა.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: ნაშრომში შესწავლილია და გაანალიზებულია მოსწავლეთა შეფასებისთვის საგანმანათლებლო სისტემაში არსებული უახლესი საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნები, რაც დაეხმარება მასწავლებელს უკეთ დაგეგმოს თავისი საგაკვეთილო მუშაობა.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში მასალები წამოდგენილი არის ნიმუშების, რჩევების, რეკომენდაციების სახით, რაც აძლიერებს პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.

კვლევის მატერიალური-ტექნიკური ბაზა: წმინდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა, ირტერნეტის სტატიები.

კვლევის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, ექვსი პარაგრაფის, დანართისგან, დაკვნებისა და ლიტერატურული დასახელებისგან.

აპრობაცია: ნაშრომის შინაარს გაეცნო განათლების მეცნიერების ფაკულტეტის ოლაინ სემინარებზე.

ნაშრომის შინაარსი:

პირველი თავის მოთხოვნები მოსწავლეთა შეფასებისადმი პირველ პარაგრაბში განხილულია ახალი ეროვნული გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები, შეფასების სისტემის დონეები, კრიტერიუმების შესახებ, რომლის განსაზღვრა მნიშვნელოვანია საქართველოს ყველა სკოლის კლასში, თუ საფეხურზე.

მეორე პარაგრაბში შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, როგორც სახელმწიფო ენისთვის მოცემულია ანალიზი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ქართულ ენისა და ლიტერატურის ცოდნისა და უნარის შეფასების შესახებ, ასევე განხილულია ქართული როგორც მეორე ენისთვის შეფასების კომპონენტები და მოსწავლეთა მისაღწევი შედეგები.

მესამე პარაგრაფში მოსწავლეთა შეფასების საკითხი საგნობრივ ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით განხილულია კლასების მიხედვით მოსწავლეთა სტანდარტი, აქტივობები, მისი შეფასების ფორმები და მეთოდები. მოცემულია ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სტანდარტის შედეგები და შეფასების ინდიკატორები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს თითოეულმა საგნის მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესის დროს.

მეორე თავის მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სქემები,ფორმები და მეთოდების მეოთხე პარაგრაფში მონიტორინგი, შემოწმება, შეფასება და ანალიზში განხილულია მონიტორინგის, შეფასების როლი სასწავლო პროცესის დროს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლის განვითარებაში, მასწავლებლის პროფესიული ზრდისთვის. შეფასების, მონიტორინგის გზით ხორციელდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც ეხმარება სკოლას განვითარებაში, ხოლო მოსწავლეს უყალიბებს ისეთ უნარ-ჩვევებს, რაც გამოადგება ცხოვრების მანძილზე.

მეხუთე პარაგრაბში შეფასების ფორმები, სქემების ნიმუშში მოცემულია მოსწავლეთა მისაღწევი შედეგების შეფასების სქემები, ფორმები, რომელიც მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის წარმატებით წარმართვისთვის. შეფასების სქემები თითოელმა მასწავლებელმა უნდა განსაზრვროს გაკვეთილის შესაბამისად, რათა მოსწავლეებში განუვითაროს თვითშეფასება. ჩამოთვლილია შეფასების ფორმები მაგ: თვითშეფასების, სხვათა შეფასების, რუბლიკა, დაკვირვება და ა.შ.

მეექვსე პარაგრაბში პრეზენტაცია როგორც შეფასების მეთოდი განხილულია პრეზენტაციის როლზე საგაკვეტილო პროცესზე. სწავლა-სწავლების დროს პრეზენტაციის გამოყენებით მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით, კვლევით უნარ-ჩვევებს. პრეზენტაციის წარდგენა შესაძლებელია როგორც საგაკვეთილზე, ასევე დისტანციურად, რომლის დროს მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს შეფასების შესაფერისი ფორმა, რათა მოსწავლეებში განავითაროს პრეზენტაციის დაგეგმვის და წარდგენის უნარ-ჩვევები.

დანართში ჩამოთვლილია რამდენიმე პრეზენტაცია,რომელიც დისკის სახით დაერთვის ნაშრომს.

თავი პირველი

მოთხოვნები მოსწავლეთა შეფასებისთვის

&1 მოსწავლეთა შეფასებისთვის ზოგადი მოთხოვნები

მოსწავლეთა შეფასების მოთხოვნები სამივე საფეხურზე ყველა საგნისთვის ჩამოყალიბდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

როგორც მოგახსენებთ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები საქართველოს მთავრობამ მიიღო 2004 წლის 18 ოქტომბერს №84 დადგენილებით. იგი განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი ზოგადი განათლების სისტემამ. ეს გულისხმოს თანამედროვეობის შესაფერისი განათლების მიცემას, ეროვნულ ღირებულებას გაცნობიერებული ჭეშმარიტი მამულიშვილის გაზრდას. განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ეროვნული სასწავლო გეგმაა, რომელიც სავალდებულო დოკუმენტია სკოლებისთვის და მოიცავს სასწავლო გარემოს, პროცესის ორგანიზებას, პირობებს, რეკომენდაციებს და იმ მიღწევებს (უნარ-ჩვევების და ცოდნის ჩამონათვალს), რომელიც მოსწავლეებმა უნდა წარმოაჩინონ ყოველი საფეხურის დამთავრებისას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შეფასების წესები და რეკომენდაციები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების ხარისხს.

საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ნაშრომში ჩავსვი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, მოსწავლეთა შეფასებისთვის განსაზღვრული VII თავი. იგი მოიცავს მოსწავლის შეფასების მიზნებს, პრინციპებს და ამოცანებს.

- მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რომელიც გულისხმობს, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

- მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეუფძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.
- მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

✓ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუქტირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

✓ ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

✓ გამოავლინოს,რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

✓ მოიცავს სამივე კატეგორიის ცოდნას;

✓ აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

- ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეებს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

შეფასება არსებობს: **განმავითარებელი და განმსაზღვრელი.**

- **განმსაზღვრელი** შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მიზნებთან მიმართებაში.
- **განმავითარებელი** შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლი განვითარების დინამიკას და დამოკიდებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

	განმავითარებელი	**განმსზაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა,	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ციდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშეწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კადეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმები	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით.
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით,ურთიერთშეფასებით.	**მასწავლებელი:** ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით,ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების აღწერილობა

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურებზე შეფასება რამდენადმე განსხვავდება:

- განმავითარებელი შეფასება გამოიყენება I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში. მასწავლებელმა წლის ბოლოს უნდა დაწეროს მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება,რომელშიც მოსწავლეს დაახასიათებს, აღნიშნავს მის წარმატებას და მიუთითებს,რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. IV კლასის ბოლოს დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში. მოსწავლე ფასდება 10 ქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა-1,ხოლო მაღალი ქულა- 10.
- V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში,საგანში ,,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“, არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

- ✓ მიმდინარე საშინაო დავალება;
- ✓ მიმდინარე საკლასო დავალება;
- ✓ შემაჯამებელი დავალება.

სემესტრის განმავლობაში მასწავლებელს შეუძლია განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

- ✓ მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები);
- ✓ მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები);
- ✓ შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში საშინაო დავალების,საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ

დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი,ასევე განმსაზღვრელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება (მაგ: ესეს წერა,პროექტის მომზადება, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ნიმუშის შექმნა და სხვ.) ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისთვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა.

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება,თუ მოსწავლე ვერ შეასრულებს შემაჯამებელ დავალებას, გაცდენის გამო,სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადები და მისი ჩატარება განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალების დოკუმენტაცია. რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ✓ შემაჯამებელი დავალების ნომერი,
- ✓ შემაჯამებელი დავალების პირობა;
- ✓ საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები,რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება;
- ✓ კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები;
- ✓ მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომელსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- საგნის სემესტრული ქულა- საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;
- საგნის წლიური ქულა-სემესტრული ქულებიდან გამომდირე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეორე კლასის წლიური ქულა,რომელიც იდენტურია მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულა აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე.

ქულების გამოანგარიშების წესი საგანში ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- ✓ მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ✓ მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ: 6,15 მრგვალდება 6-მდე, 8,5 მგვალდება 9-მდე);
- ✓ იმ შემთხვევაში,თუ მოსწავლეს არ აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შესრულებული შემაჯამებელი დავალების რაოდენობის ჯამზე;
- ✓ თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალების მიხედვით;
- ✓ საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
- ✓ საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

- ✓ თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება საგნის წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი-საგნის სემესტრული და ერთი-გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);
- ✓ თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განმეორებითი საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს 5,0 ან მეტი ქულა, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;
- ✓ მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნის სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა;
- ✓ საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;
- ✓ საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით;
- ✓ კლასი დაძლეულად ჩაითვლება,თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5,0 ან მეტი (დამრგვალების შემდეგ);
- ✓ დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას;
- ✓ საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი,რაც აძლევს საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას;
- ✓ საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება,თუ მოსწავლის საფეხურის ქულა არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი;

✓ კერძო სკოლებს და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლებს უფლება აქვთ, დაადგინონ გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის გამოცდა;
- სკოლის გამოსაშვები გამოცდა.

სემესტრული გამოცდა-ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ მოსწავლე თვლის,რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულას ემატება საგნის სემესტრული ქულა და ჯამი იყოფა ორზე.სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.ხოლო წლიური გამოცდის დანიშვნა/არდანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლა.

ამრიგად,მოსწავლეთა შეფასების სისტემის მიღწეული შედეგების დონის მახასიათებლებს, საგნის, საფეხურის დაძლევის ქულებს განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი ზოგადი ნაწილი,იგი საერთოა ყველა სკოლის და ყველა საგნისთვის.

&2 შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, როგორც სახელმწიფო ენისთვის

ეროვნული სასწავლო გეგმის ციკლი განიხილავს შეფასებას სახელმწიფო ენებში(ქართული ენა და ლიტერატურა, აფხაზური ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა არაქართული სკოლებისთვის სასწავლო I-XII კლასებში).ნაშრომში ჩართულია შეფასება ქართული ენის და ლიტერატურის,რომლის მიმდირარე, საშინაო და საკლასო შეფასების კომპონენტებია:

- სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების მრავალმხრივი გააზრება-გაანალიზება და შეფასება;
- ტექსტების ინტერპრეტირება;
- ტექსტების შედარებითი აბალიზი;
- თხრობა;
- მსჯელობა;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა-შეთხზვა;
- ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია;
- გამომეტყველებითი კითხვა;
- გრამატიკული და ლექსიკური ცოდნა;
- მართლწერა;
- შემოქმედებითობა;
- სასწავლო სტრატეგიების(კითხვის, წერის, მოსმენის, ზეპირმეტყველების) გააზრებულად გამოყენება;
- მხატვრული ხერხების ცოდნა;
- ენობრივი-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და გაანალიზება;
- ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობების მახასიათებლები და სხვა.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევები:

- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან,ჯგუფის წევრებთან);
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება უნარ-ჩვევების განვითარებისა და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;

- სასწავლო აქტივობებში ჩართულობა.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები;
- დისკუსიის მოწყობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება;
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრა;
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად;
- სხვადასხვა სახის ტესტების შექმნა დამოუკიდებლად,მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად;
- პროექტის განხორციელება.

შენიშვნა: დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- გაწაფულად კითხვა;
- გამოწერა;
- გადაწერა;
- კარნახით წერა;
- შინაარსის გადმოცემა საკვაძო სიტყვებზე/ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- ეპიზოდების თხრობა;
- შინაარსის ვრცლად და მოკლედ გადმოცემა.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი- უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს.ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის შესწავლა-დამუშავების გზით მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა. სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად რეკომენდებულია შემაჯამებელი დავალებათა მრავალი ფორმის გამოყენება. ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალების გამოყენება:

- მხატვრული/არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;
- ზეპირი მოხსენების წარმოდგენა;
- ესეს შედგენა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის საშუალებით;
- გამომეტყველებითი კითხვა;
- ლიტერატურული სალონი;
- პროექტი;
- ზეპირი გამოსვლის აუდიო ან აუდიოვიზუალური ჩანაწერის მოსმენა და შეფასება.

შემაჯამებელი დავალება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ ყველა ტიპის დავალებას უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა;
- ✓ ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- ✓ მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

შემოგთავაზებთ შეფასების კომპონენტებს ქართულში,როგორც მეორე ენაში-იგი გათვალისწინებულია არაქართული სკოლების I-XII კლასებისთვის. მიმდინარე, საშუალო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

ენობრივი ცოდნა და უნარები

- ლექსიკური ცოდნა;
- გრამატიკული ცოდნა;
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები;
- გამოთქმა;
- მართლწერა.

კომუნიკაციური უნარები

- კითხვა-გაგება;
- გაწაფულად კითხვა;
- მოსმენა-გაგება;
- ზეპირი კომუნიკაცია;
- წერითი კომუნიკაცია.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევები

- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა;
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება უნარ-ჩვევების განვითარებისა და სასწავლო საქმიანიბის ხელშეწყობის მიზნით;
- სასწავლო აქტივობებში ჩართულობა.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები;
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრა;
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად;
- პროექტის განხორციელება.

შენიშვნა: დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- ხმამაღალი კითხვა;
- ჩუმი კითხვა;
- გამოწერა;
- გადაწერა;
- კარნახით წერა.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი- უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს.ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის შესწავლა-დამუშავების გზით მიღწეული შედეგები. რეკომენდებულია მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალების გამოყენება სტანდარტის მოთხოვნების დასაფარად. ქართულის, როგორც მეორე ენის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- ტექსტის გაგება-გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- როლურ თამაშებში,სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა;
- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ;
- ზეპირი მოხსენება;
- განხორციელებული პროექტი.

შემაჯამებელი დავალებები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ ყველა ტიპის დავალებას უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა;
- ✓ ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- ✓ მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები,რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

ამრიგად, ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს შეფასების კომპონენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, როგორც სახელმწიფო ენაში და როგორც მეორე ენაში არაქართული სექტორებისთვის, ჩამოთვლის შეფასების კომპონენტებს, მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მახასიათებლებს.

&3 მოსწავლეთა შეფასების საკითხი საგნობრივი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

საგნობრივი ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სასწავლო საგნებში მისაღწევი სტანდარტის შედეგებს, სასწავლო მეთოდებს, აქტივობებს და შეფასებას.

საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით განვიხილავთ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნებს:,,ქართული ენა და ლიტერატურა“, ,,უცხოური ენა“, ,,ბუნებისმეტყველება“, ,,მათემატიკა“.

ქართული ენა და ლიტერატურა, V კლასი

მიმართულება: წერა

სტანდარტის შედეგები

- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვადასხვა მიზნით.
- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის,ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება. ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.
- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.

შეფასების ინდიკატორები

- ✓ წერს ჩანახატებს,მცირე ზომის მხატვრულ ტექსტებს.
- ✓ თანმიმდევრულად გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, ფაქტებს და მოვლენებს.
- ✓ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის/თემის მიმართ;
- ✓ გამოხატავს და ასაბუთებს თვალსაზრისს,წერისას აქცენტს აკეთებს მთავარ და არსებით მომენტებზე.
- ✓ მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისად შეარჩევს შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს, ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს.
- ✓ თანამიმდევრულობისა და ლოგიკური შესაბამისობის დაცვით ჰყოფს ტექსტს აბზაცებად.
- ✓ მარტივი მხატვრული ტექსტების შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების გამოყენებას, მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს.

- ✓ აქტიურად იყენებს მეტყველების ნაწილთა ძირითად ფორმობრივ თავისებურებებს,ზმნის ფორმაცვალებისას მართებულად შეუწყობს სახელებს ბრუნვასა და რიცხვში.
- ✓ წერის დაწყებამდე წინასწარ ირჩევს თემას, სასურველ ჟანრს.განსაზღვრავს წერითი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას.
- ✓ დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებს ბეჭვდურ/ელექტრონულ რესურსებს. იყენებს მოდელს,მითითებებს,ტექსტის გეგმას.
- ✓ ხმამაღლა კითხულობს და საჭიროების შემთხვევაში ხვეწს ნამუშევარს ესთეტიკური და სტილისტური თვალსაზრისით, ანაცვლებს უკეთესი ვარიანტით.

შეფასება ხდება შემდეგი დავალებათა/აქტივობათა ნიმუშების მიხედვით:

- ✓ ტექსტიდან საკვანძო სიტყვების/ფრაზების ამოწერა;
- ✓ ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა;
- ✓ ერთსა და იმავე კონკრეტულ თემასთან/საკითხთან დაკავშირებული პრაგმატული ტექსტის შედგენა ორი განსხვავებული ვერსიის სახით, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის პირებისთვის;
- ✓ ჩანახატის შექმნა კონკრეტულ თემაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა,VI კლასი

მიმართულება: ზეპირმეტყველება

სტანდარტის შედეგები

- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.
- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება, ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.
- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ტექსტების შეფასება, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა, მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება.

- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშულებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.
- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.

შეფასების ინდიკატორები

- ✓ ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას,თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს მოსმენილი/წაკითხული ინფორმაციის შესახებ;
- ✓ ინდივიდუალურად ან თანამოაზრეებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში, წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას;
- ✓ წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას/პრეზენტაციას სხვადასხვა ნაცნობ თემაზე, გამოკვეთს არსებით საკითხს, საუბრობს ნათლად და გარკვევით,გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებას;
- ✓ მეტყველების პროცესში თავისუბლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს, იცავს ეტიკეტურ ნომრებს, ცდილობს მათ გათვალისწინებას კომუნიკაციის დამყარებისას;
- ✓ მსჯელობს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან, ასევე მსჯელობს ტექსტში გამოკვეთილ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირზე;
- ✓ ერთმანეთს უკავშირებს ტექსტის ცალკეულ მონაკვეთს, ამოიცნობს ლოგიკურ კავშირებს მათ შორის, ტექსტში ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ დეტალებზე, გაიაზრებს მათ ნაწარმოების საერთო კონტექსტში, აკავშირებს ინფორმაციას პირად ან ლიტერატურულ გამოცდილებასთან, გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- ✓ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი, ასახელებს მისთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეპიზოდებს;
- ✓ აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ,წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ეპიზოდებში, სთავაზობს აუდიტორიას ნაწარმოებში გამოკვეთილი კონკრეტული პრობლების გადაჭრის საკუთარ ვერსიას;

- ✓ სამეტყველო ვითარებაში მოიძიებს და იყენებს აზრის გამოთქმისთვის აუცილებელ ლექსიკურ და გრამატიკურ საშულებას,ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ;
- ✓ გამოარჩევს სიტყვის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და სათანადოდ იყენებს მას მეტყველების დროს, ამოიცნობს სხვადასხვა ჟანრის,სტილის,ეპოქის ენისათვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს,მათ მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას;
- ✓ მონაწილეობს მოსამზადებელი სამუშაოების განაწილებაში, ჯგუფური დავალებების შესრულებაში, სხვადასხვა საშუალებებით აგროვებს მასალას და აცნობს ჯგუფის წევრებს, ითვალისწინებს მათ აზრს;
- ✓ წინასწარ ამზადებს რესურსებს/თვალსაჩინოებებს, აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას;
- ✓ აზრის გამოთქმისას იცავს მიღებულ ფორმალობებს, აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომელბმაც ხელი შეუწყო წარმატების მიღწევაში ან გამოიწვია წარუმატებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად ისახავს გამოსწორების გეგმას.

დავალებათა/აქტივობათა ნიმუში:

- ✓ ნაცნობი ტექსტის პერსონაჟის წარმოსახვითი აღწერა;
- ✓ შესრულებული პროექტების პრეზენტაცია კლასის წინაშე;
- ✓ მინისპექტაკლის დადგმა;
- ✓ ლიტერატურული სამსჯელო და სხვა.

უცხო ენა,V კლასი

მიმართულება: ზეპირი მეტყველება

მისაღწევი შედეგები

- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის ტექსტების გაგება.
- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების,წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით, შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა.

- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს რამდენიმე წინადადებიანი მონოლოგის წარმოთქმა.
- ✓ მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შეფასების ინდიკატორები

- ✓ გამოარჩევს ცალკეულ სიტყვებს/შესიტყვებას სიტყვების ნაკადში, ამოიცნობს ფრაზების/გამოთქმების მნიშვნელობას, დიალოგის/მონოლოგის თემას და პერსონაჟებს/თანამოსაუბრეებს;
- ✓ განასხვავებს ფამილარულ და თავაზიან ფორმას დიალოგში, ამოიცნობს ინტონაციით გამოხატულ ემოციებს და ამოკრებს ფაქტობრივ ინფორმაციას ტექსტიდან;
- ✓ ბაძავს მოსმენილი ბგერების,სიტყვების ჟღერადობას,უცხოური ენისთვის დამახასიათებელ ინტონაციას,წარმოთქმას;
- ✓ გაითამაშებს სცენებს,დიალოგებს,ამბობს ენის გასატეხებს და ლექსებს რიტმის, პაუზების,ინტონაციის დაცვით;
- ✓ სვამს და პასუხობს კითხვებს ნაცნობ თემატიკაზე,ცდილობს უცხოურ ენაზე გადმოსცეს სათქმელი;
- ✓ შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის მიმართვის თავაზიან და ფამილარულ ფორმებს ინტერაქციისას,სათანადოდ რეაგირებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე,კითვებზე;
- ✓ იყენებს პირველ უცხოურ ენაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას;
- ✓ გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ სათაურისა და ილუსტრაციების საფუძველზე, ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების, წინადადებების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით;
- ✓ იშველიებს არავერბალურ ელემენტებს ცოცხალი მეტყველების/ჩანაწერის გასაგებად,თავს უყრის ზეპირი კომუნიკაციის წარმართვისათვის აუცილებელ რესურსებს,ითხოვს განმარტებას,ნელა და გარკვევით წარმოთქმას,გამეორებას გაუგებრობის შემთხვევაში.

აქტივობათა ნიმუშები:

- ✓ მიმიკებისა და ჟესტიკულაციის დახმარებით პერსონაჟის ან კონკრეტული მოქმედების განსახიერება;
- ✓ მოსმენილი ტექსტის პერსონაჟების ინტონაციის,ხმის მიბაძვა, წინადადებების ილუსტრაციებზე დაკავშირება;
- ✓ ინტერვიუს ჩამორთმევა თანაკლასელისათვის და მიღებული ინფორმაციის პრეზენტაცია;
- ✓ ჩანაწერში მოსმენილი ან მასწავლებლის მიერ წარმოთქმული ბგერების, სიტყვებისა და მოკლე ფრაზების გამეორება.

შეფასება მათემატიკაში-ისწავლება სასწავლო საფეხურის ყველა კლასში,როგორც სავალდებულო საგანი. მათემატიკის საგნობრივ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია ოთხი მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები, გეომეტრია და სივრცის აღქმა, მონაცემთა ანალიზი, სტატისტიკა და ალბათობა, კანონზომიერებები და ალგებრა. მიმართულებათა ასათვისებლად და შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი დავალების ფორმების გამოყენება. დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- ✓ მათემატიკური შინაარსის ტექსტის წაკითხვა და მონაცემთა ანალიზით მიღებული დასკვნის გამოტანა და დასაბუთება;
- ✓ რიცხვით გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა,განტოლების ამოხსნა,ასოიტი გაოსახულების გამარტივება;
- ✓ გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება.

მათემატიკური დავალების შეფასების კომპონენტები

- ✓ მათემატიკური ცნებებისა და დებულებების ცოდნა და გაგება;
- ✓ მათემატიკური ობიექტების წარმოდგენა და მათემატიკური ენის ფლობა;
- ✓ მსჯელობა-დასაბუთება;
- ✓ ამოცანის ჩამოყალიბება;
- ✓ მათემატიკური მოდელირება;
- ✓ ამოცანის ამოხსნის გზის მოძებნა და მისი რეალიზება;
- ✓ გამოთვლების ოპტიმატური ხერხის შერჩევა;

- ✓ დამხმარე ტექნიკური საშუალებების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

მოსწავლის სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შეფასება:

- ✓ შემოქმედებითობა;
- ✓ თანამშრომლობა;
- ✓ სტრადეგიების გააზრებულად გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- ✓ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი;

შენიშვნა: დაწყებით კლასებში მოსწავლეების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- ✓ რიცხვის ჩაწერა და დასახელება;
- ✓ არითმეტიკური მოქმედებების შესრულება და სიტყვიერი აღწერა;
- ✓ გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და აღწერა;
- ✓ მანძილის გაზომვისა და განსაზღვრის ხერხების ცოდნა და გამოყენება;
- ✓ მონაცემთა დალაგება, დაჯგუფება და კლასიფიკაცია მითითებული კრიტერიუმების მიხედვით:
- ✓ საზომი ერთეულების და მათ შორის მიმართებების ცოდნა და გამოყენება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტები- უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს მათემატიკის საგნობრივი პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარის წარმოჩენა. ამრიგად, შემაჯამებელი დავალება უნდა აფასებდეს მათემატიკის საგნობრივი პროგრამით განსაზღვრულ შედეგებს. შემაჯამებელი დავალებათა ტიპებია:

- ✓ ტექსტურ ამოცანასთან დაკავშირებული ღია და დახურული ტიპის დავალება;
- ✓ ტექსტის წაკითხვა და მონაცემთა ანალიზით მიღებული დასკვნის გადმოცემა და დასაბუთება;
- ✓ განტოლების ამოხსნა, ასობითი გამოსახულებების გამარტივება,რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა;

- ✓ გეომეტრიული ამოცანა,სადაც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისების დადგენა,ზომების განსაზღვრა,ფიგურის აგება.

შემაჯამებელი დავალებები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ✓ ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- ✓ მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგი, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

შეფასების კომპონენტები საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში-საბუნებისმეტყველო მეცნიერების სასწავლო გეგმაში გამოიყოფა ოთხი მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება; ცოცხალი სამყარო; სხეულები და მოვლენები; დედამიწა და გარე სამყარო,რომელთა სწავლების დროს მოსწავლეებს ეძლევათ შესაბამისი დავალებები განსაზღვრული შეფასების კომპონენტებით. მოსწავლე ასრულებს როგორც საშინაო, საკლსო და შემაჯამებელ დავალებებს, რომლებიც შეიძლება შედგებოდეს: საბუნებისმეტყველო შინაარსის ტექსტზე მუშაობა,კითხვებზე პასუხის მომზადება,საშინაო/საკლასო ექსპერიმენტების ჩატარებს,საველე/გასვლითი სამუშაო,ინდივიდუალური/ჯგუფური პრეზენტაციების მომზადება, წარდგენა და სხვ. ამ დავალებათა შესაფასებელი უნარ-ჩვევების კომპონენტებია:

- ✓ სააზროვნო
- ✓ კვლევის
- ✓ პრობლემის გადაჭრის
- ✓ კომუნიკაციის
- ✓ სოციალური
- ✓ თვითმართვის

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტით უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო ერთეულის ბოლოს მიღწეული შედეგები.

ამრიგად მოსწავლეთა შეფასების საკითხი საგნობრივ ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით განხილულია მოსწავლეთა მისაღწევი შედეგები, აქტივობები და შეფასების ფორმები თითოეულ საგანში ანუ მოცემულია შეფასების ინდიკატორები და სტანდარტი თითოეული საგნის მაგ: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, რომელთა განსაზღვრა მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის დროს, რათა მასწავლებელმა მოსწავლეებში განავითაროს შესაბამისი უნარ-ჩვევები.

თავი მეორე

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მეთოდები, სქემები, ფორმები

&4 მონიტორინგი,შემოწმება,შეფასება და ანალიზი

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ჩავერთეთ გამოკითხვას, რომლის მიზანი იყო: გაგვერკვია რა ძირითადი კითხვები ჰქონდათ მასწავლებლებს შეფასების მიმართებაში. გამოკითხვის შედეგებით ჩამოყალიბდა შემდეგი კითხვები:

- ✓ რა არის მონიტორინგი და შეფასება?
- ✓ რა არის მონიტორინგის და შეფასების მიზანი: მოსწავლისათვის, მასწავლებლისათვის,სკოლისთვის?
- ✓ რატომ უნდა ჩავატაროთ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შევამოწმოთ მოსწავლეების პროგრესი?
- ✓ როგორ ეხმარება ეს უფრო ეფექტიან სწავლებასა და სწავლას?

მონიტორინგი- წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების პროცესს,სიტუაციის მუდმივ ანალიზსა და მეთვალყურეობას.

შეფასება- სასწავლო პროცესის ანალიზი მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით.

შემოწმება-მოსწავლეებისა და მასწავლებლების პროგრესისა და მიღწევების განხილვას უკავშირდება. შემოწმება იძლევა ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ.

დიფერენციაცია-გულისხობს სასწავლო აქტივობის თანხვედრას ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებასთან.

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები-იმ მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს, რომლებსაც სპეციფიკური, სტანდარტულიდან განხვავებული საჭიროებები გააჩნიათ.მაგ:

- ნიჭიერი მოსწავლეები: მოსწავლეები, რომლებიც გამორჩეულ შესაძლებლობლებს ამჟღავნებენ;
- სუსტი მოსწავლეები: მოსწავლეები,რომელთაც უჭირთ სწავლა.

კურიკულუმი-განსაზღვრავს იმის შინაარსს,რაც სკოლაში უნდა ისწავლებოდეს.

ვარული კურიკულუმი- გულისხობს ყველაფერს, რაც ისწავლება სასკოლო ღონისძიებების დროს და რაც არ წარმოადგენს ფორმალური სასწავლო კურიკულუმის ნაწილს- მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მათი ურთიერთობები, სწავლისადმი დამოკიდებულება და სხვ.




მონიტორინგისა და შეფასების გზით:
ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება,გამოამჟღავნოს საკუთარი შესაძლებლობები და გაეწევათ შესაბამისი დახმარება, რათა კარგად გაანალიზონ: რისი გაკეთება შეუძლიათ; სფეროები,რომლებშიც სჭირდებათ ცოდნის გაუმჯობესება.
ცხადი ხდება,რომ კურიკულუმი მოიცავს სწავლების სხვადასხვა მიდგომას და არსებობს უფრო ვრცელი (ფარული) კურიკულუმი.
მოწმდება სასწავლო მიზნების მიღწევადობა და შესრულება თითოეულ საგანში,შემოწმების პროცესი პირდაპირ კავშირშია ახალი სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასთან.
მასწავლებლებს შეუძლიათ დაგეგმონ და დაახარისხონ სწავლბისა და სწავლისთვის საჭირო აქტივობები.
მშობლები არიან ინფორმირებული ბავშვების წარმატებების თაობაზე.
ხდება მოსწავლეთა შეფასება,სკოლას მიეწოდება ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების პროცესებზე.

ფორმალური და შემაჯამებელი შემოწმების მახასიათებლები:

- მოსწავლეების/მასწავლებელთა მოტივაცია;
- სტანდარტების გაზომვა და კონტროლი;
- სწავლის შედეგების კონტროლი სწავლების მიზნებთან დასაახლოვებლად;
- მოსწავლეთა დიფერენციაცია;
- სწავლის საჭიროებებისა და სირთულეების დიაგნოსტიკა;
- იმის გამორკვევა და ჩაწერა,რა იციან,რა ესმით და რა შეუძლიათ მოსწავლეებს;
- რაოდენობრივი მონაცემების ბაზის შედგენა სკოლების შედარების მიზნით;
- მოსწავლეების დახმარება სწავლაში.

სწავლების,სწავლისა და შემოწმების ფაზებია:

- ორიენტაცია
- უკუგება,სტრუქტურიზაცია
- ჩარევა/ინტერვენცია,სტრუქტურიზაცია
- მიმოხილვა
- გამოყენება

მიზნებია:

- იწვევს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობასა და ინტერეს;
- ხელს უწყობს მოსწავლეებს,მოახდინონ იდეებისა და უნარ-ჩვევების შეფასება,განვითარება,გაფართოება ან შეცვლა;
- ეხმარება მოსწავლეებს შეაფასონ მათ მიერ შესრულებული ,,სამუშაოს" მნიშვნელობა და ღირებულება;
- მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს შეაფასოს მოსწავლები,თუ როგორ გაიგეს მასალა,რათა დაგეგმოს შემდგომი ნაბიჯები;
- მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას აქტიურად იყვნენ ჩართული სასწავლო დავალებაში და შეიძინონ ცოდნა,რომელიც მასწავლებელს ეხმარება შეაფასოს მოსწავლეების უნარ-ჩვევები და ახალი ნასწავლი შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად.
- ეხმარება მოსწავლეებს გამოიყენონ ნასწავლი ყოველდღიურ ცხოვრებაში,რომელიც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს ყოველდღიური ცხოვრებისეული მაგალითებით გააძლიეროს ძირითადი საკითხები.

შესაძლებელი პროცესები:

- გაცნობა,შესავალი,ახსნა;
- კითხვები,წინასწარ განჭვრეტა;
- პრაქტიკული ვარჯიში,დაკვირვება,შესაძლო დასკვების გაკეთება,გააზრება;
- ჩაწერა,ჰიპოტეზა,ანგარიშ გება,შეფასება;
- გამოცდილებასთან კავშირი,დისკუსია,ინტერპრეტაცია.

ფორმალური შემოწმების პრაქტიკული სტრატეგიები

სწავლების შეფარდება სწავლასთან:

- გეგმები არის გეგმის მიმცემი;
- მოკლე და შუალედური გეგმები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეების საჭიროებებს და ითვალისწინებდეს გრძელვადიან ამოცანებს;
- თემაზე მუშაობის დაწყების წინ აუცილებელია მოსწავლეთა ცოდნის,უნარ-ჩვევების გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში გეგმების კორექტირება, სწავლის ეფექტიანობისათვის;

სასწავლო მიზნების გაზიარება:

- მასწავლებლები და მოსწავლეები მოელიან,რომ ყოველი გაკვეთილის სასწავლო მიზნები უნდა იყოს ნათელი და მოსწავლეებისათვის მისაღებ ენაზე ფორმულირებული;
- ჩამოვწეროთ, გამოვყოთ მიზნები იმ მითითებებისაგან, რომლებიც სავარჯიშოების შესრულებაში გვეხმარება და გამოვაკრათ ისეთ ადგილას, რომ თვალსაჩინო იყოს გაკვეთილის მსვლელობის დროს;
- სასწავლო მიზნები მით უფრო ეფექტიანია,რაც უფრო ნათელია წარმატების კრიტერიუმები;
- სასწავლო მიზნები აუცილებელია კავშირში იყოს რეალურ სამყაროსთან,რათა მოსწავლეებმა შეძლოს ცოდნის აგება არსებული გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე;
- მოსწავლეებს სასწავლო მიზნები აუცილებელია შევახსენოთ,როგორც გაკვეთილის მსვლელობისას,ასევე გაკვეთილის ბოლოს.

სწავლის ხელშემწყობი კითხვები:

- გამოვიყენოთ სხვადასხვა ტიპის კითხვები კონკრეტული მიზნებისათვის მაგ: ინტერესის გასაღვივებლად,არსებული ცოდნის დასადგენად,გაგების ხარისხის დასადგენად და სხვ;
- სასურველია კითხვები იყოს სააზროვნო,რომელსაც წინასწარ მოფიქრება სჭირდება. ასეთი კითხვების მოფიქრებისას მასწავლებლებმა ერთმანეთს უნდა

გააცნონ მათ მიერ მომზადებული კითხვები,რომლის მეშვეობით შეიქმნება ,,განსაკუთრებით ეფექტიანია კითხვების ბანკი“;

- საგაკვეთილო პროცესის დროს სასურველია გამოვიყენოთ ისეთი სტრატეგიები,რომლებიც აიძულებს მოსწავლეებს იაზროვნონ მთელი გაკვეთილის მანძილზე, ხოლო სწარაფად საპასუხო კითხვების გარდა,საჭიროა დავსვათ სააზროვნო კითხვები,რომლის პასუხის გაცემისას საჭიროა მოფიქრების დრო;
- მივცეთ მოსწავლეებს შესაძლებლობა, კრიტიკულად შეხედონ მასწავლებლის, საკუთარ და სხვა მოსწავლეების შეკითხვებს.

თვით შეფასება:

- ეს არა წერილობითი ფორმის შესასრულებული სამუშაო, არამედ სააზროვნო აქტივობა;
- მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავოთ თვითშეფასება, ამ უნარ-ჩვევის გამომუშავება სამოდელო პასუხების ნიმუშების ჩვენებით შეიძლება;
- მრავალფეროვანი მეთოდები დაგვეხმარება, თავიდან ავიცილოთ უაზრო და მოუფიქრებელი პასუხები;
- თვითშეფასება უნდა ეხებოდეს დასმულ ამოცანას და არა მოსწავლეს.

უკუგება,შეფასება (შენიშვნები):

- შეფასება უნდა იყოს სწრაფი და უნდა გაკეთდეს სიტყვიერად;
- უკუგება მოიცავს ინფორმაციას სწავლის მიზნის,წარმატების კრიტერიუმებისა და მომდევნო ნაბიჯების შესახებ;
- კომენტარები უნდა მოიცავდეს კონკრეტულ რჩევას,როგორ გავაუმჯობესოთ შესრულებული სამუშაო და მივუახლოვოთ დასახულ მიზანს, რომლის წაკითხვის უნარი უნდა გააჩნდეს მოსწავლეებს;
- არ შევადაროთ ერთმანეთს მოსწავლეების ნამუშევრები. მოსწავლის ნამუშევარი მხოლოდ მისივე წინა ნამუშევარს უნდა შევადაროთ;
- შეფასების დროს ვიყენებთ სასწავლო მიზნების შესაბამის კომენტარებს და კოდებს, არ არის საჭირო სიმბოლოების და ჯილდოების ნიშნების სახით გამოყენება;

- მოსწავლეებს მივცეთ დრო შენიშვნების წასაკითხად და პასუხის გასაცემად;
- მშობლებს მივაწოდოთ ინფორმაცია მათი შვილების პროგრესის სესახებ.

ინდივიდუალური სასწავლო მიზნები:

- შესაფერისი მიზნის დასახვა ხდება მოსწავლეებთან ერთად, მათი სამუშაოდან და ძირითადი სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე;
- მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება, კონკრეტული, გაზომვადი, ნათელი, მიღწევადი, რელევანტული და დროში გათვლილი;
- მიზანი ეფექტიანია თუ თვალსაჩინოა;
- მოსწავლებთან ერთად შევადგინოთ ,,მოქნილი პროგრამები" და დავსახოთ მიზნები იმისთვის, რომ პროცესის მართვა გახდეს ეფექტიანი.

ამრიგად, მონიტორინგი, შემოწმება და შეფასება საჭიროა მოსწავლეების პროგრესის, მასწავლებლების შრომის ეფექტიანობის შესამოწმებლად, რომელიც ეხმარება სკოლას განვითარებისთვის, ხოლო მოსწავლეებს უყალიბებს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ. მონიტორინგის გზით ხორციელდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლება-სწავლაში. მასწავლებელი მუდმივ ძიებაშია: დაგეგმოს/მოიძიოს ისეთი მეთოდები, აქტივიბები, რომელიც დაეხმარება საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში, ხოლო მოსწავლე ცდილობს უფრო გამოავლინოს საკუთარი შესაძლობლობები.

&5 შეფასების ფორმების,სქემების ნიმუში

შეფასების კომპონენტისა და კრიტერიუმის შესახებ არსებობს სხვადსხვა რეკომენდაცია, მითითება, გამოცდილება. მნიშვნელოვანია გავეცნოთ შეფასების იმ ფორმებს, რომლებიც დაგვეხმარება ორიგინალური, წარმატების მომტანი შეფასების კრიტერიუმების და კომპონენტების განსაზღვრაში.

წიგნი „სასარგებლო რესურსები მასწავლებლისათვის“ (თბილისი 2017) გვთავაზობს საინტერესო რჩევებს:

საგაკვეთილო პროცესში ჩარტულობა ფასდება შემდეგი კომპონენტებით:

- აქტიურობის ხარისხი;
- ჯგუფის მუშაობაში შეტანილი წვლილი;
- საუთარი მოსაზრების გამოთქმა არგუმენტულად;
- კამათის წესების დაცვა;
- საკითხის გარშემო საუბარი;
- დავალების შესრულების-მონდომება, ორგანიზებულობა, სისტემატურობა.

მიმდინარე სასწავლო დავალების შეფასების კომპონენტები:

- აზრის ჩამოყალიბებისა და მსვლელობის უნარი;
- წაკითხული მხატვრული ნაწარმოების ანოტაცია და რეზიუმე;
- მოსმენის კულტურა;
- ეთიკური ნორმების დაცვა;
- გრამატიკული წესების დაცვა;
- საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემა;
- ენობრივი ნორმების დაცვა;
- ხმამაღალი/ჩუმი კითხვა;
- კითხვებზე პასუხი;
- პრობლების გადაჭრის გზის ჩამოყალიბება;
- თხზულების-ესეის-რეფერატის შედგენა, პრეზენტაცია.

შემაჯამებელი დავალები:

- გამოცდა;
- აქტივობები;
- ტესტირება;
- საკონტროლო წერა;
- ზეპირი გამოკითხვა.



დაკვირვების შედეგად ეფექტური გამოდგება რჩევა: შეფასების პროცესში მასწავლებელს გააზრებული უნდა ჰქონდეს-რისთვის აფასებს მოსწავლეს-მისი განვითარების ხელშეწყობის მიზნით,თუ მხოლოდ მიღწევის დონის დასადგენად სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში.

თუ მასწავლებელი განმავითარებელ შეფასებას იყებეს,მაშინ მნიშვნელოვანია მოსწავლის დასახმარებლად, შეცდომის, ხარვეზის, ნაკლის დაფიქსირება და საქმიანობის დაგეგმვა. განმავითარებელი შებასების დროს მასწავლებელი მიმართავს ნიშანს.

შეფასების კომპონენტის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია საგნობრივი პროგრამების სტანდარტებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. კომპონენტების შერჩევას განაპირობებს გაკვეთილის სასწავლო მიზანი, ამოცანები, შესასწავლი მასალა. შეფასების კომპონენტების შერჩევა და გამოყენების ხარისხი მასწავლებლის შემოქმედებით,პროფესიულ უნარებზეა დამოკიდებული.მაგ:

თემა:,,ალექსანდრე ყაზბეგი, ხევისბერი გოჩა“ (VII კლასი).**სასწავლო მიზანი:** (სტრანდარტის მიხედვით)-ტექსტის ფუნქციური ტიპების(თხრობა, მსჯელობა, აღწერა) გამოყოფა და მათი დანიშნულების განმარტება.

შეფასების კრიტერიუმები:

- ტექსტის ფუნქციური ტიპის გამოყოფის უნარი-3ქ.
- ტექსტის სათანადო ადგილების მოხმობის უნარი-3ქ.
- ტექსტის ფუნქციური ტიპის დანიშნულებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა-4ქ.

ტესტირება,როგორც შეფასების მეთოდი- შეფასების მეთოდებიდან ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა ტესტირებაა. ტესტის დახმარებით შეგვიძლია რა და როგორ ისწავლეს მოსწავლეებმა, რა უნარ-ჩვევები განუვითარდათ. გამოყენებამდე აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მიზნისთვისაა შექმნილი ტესტი და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს:

- ტესტი უნდა იყოს გაზომვადი,შედეგები ფასდებოდეს წინასწარ შემუშავებული პასუხებით ან შეფასების სქემით.
- ტესტი განსაზღვრულ დროში უნდა სრულდებოდეს.
- ტესტი უნდა იყოს გამჭვირვალე.მოსწავლემ უნდა იცოდეს,რა ფორმატისაა ტესტი,რას ამოწმებს,როგორია შეფასების მექანიზმი,რა დრო აქვს შესასრულებლად.

რეკომენდაციები ტესტის შესასრულებლად:

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა.დააკვირდით რა პრობლემაა დავალებაში.
- მონიშნეთ საკვანძო სიტყვები და ფრაზები,რომ თვალსაჩინოდ დაინახოთ რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადრება.
- უპასუხეთ იმაზე რასაც გეკითხებიან.
- გახსოვდეთ,თქვენ გთხოვენ ორი სირთულის დავალების და შესაბამისად გადაწყვეტის ორ გზას.
- დაიცავით და დაზოგეთ დრო,რათა გქონდეთ საშუალება გადახედოთ ნაწერს.

მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა მეთოდებს: მასწავლებლის დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას, თანატოლთა შეფასებას, კომენტარის (გამოხმაურება), პორთფოლიო, რუბლიკების

შედგენა და სხვა.დავალების სწორად შესრულებისთვის მნიშვნელოვანია ინსტრუქციის, რეკომენდაციის გათვალისწინება:

- დავალება არჩევითი პასუხით;
- შესაბამისობის დავალებები(არათანაბარი სვეტები);
- დავალება პასუხით ,,ჭეშმარიტია-მცდარია";
- დავალებები და დაბოლოებით.

სასურველია აღნიშნული ტიპის ტესტების მიხედვით შევადგინოთ ტესტები გაკვეტილზე გამოსაყენებლად.მაგ:

ტესტი ,,დავალება ღია დაბოლოებით" კლასში მოსწავლეთა უმრავლესობას გაუძნელდებოდა წილადის შესწავლა.მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა ტესტი.

ჩაწერეთ ორი სირთულე, რომელმაც გაგიძნელათ წილადის შესწავლა.

1. სირთულე----------
   დაძლევის გზა--------
2. სირთულე---------
   დაძლევის გზა---------

ტესტის პასუხის მიხედვით გაიმართება მსჯელობა,დასაბუთდება სირთულე და განისაზღვრება დაძლევის გზა.

მასწავლებლის დაკვირვება- (თანაშეფასება) მასწავლებელი ჩამოაყალიბებს შეფასების კითხვარებს, გააცნობს მოსწავლეებს,ერთად გაანალიზებენ შედეგებს,დასახავენ უკეთესი შედეგის მიღწევის გზებს.

ზეპირი მოხსენების შეფასების კითხვარი(ქულები განისაზღვრება შეთანხმებით):



შეფასების დროს ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ საკითხებს და მოსწავლის წინსვლისთვის საჭიროებებს.პროფესორი იური ბიბილეიშვილი, როცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა სკოლაში, იყენებდა შემდეგ მეთოდებს.

მასწავლებელი მოსწავლეებისათვის გაკვეთილზე გაცნობიერებულს ხდის:

- ცოდნის საფეხურებს:



- ცოდნის ხარისხის დონეებს:

- პროგრამული მასალის დაძლევის ხარისხი;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- დამოუკიდებელი მუშაობის სისტემა;
- დიალოგი: ,,ნაწარმოების წაკითხვისას რამ დაგანაღვლიაანათ, რამ გაგაცინათ, მშობლებს თუ უამბეთ, რა იყო სკოლაში გაკვეთილზე საინტერესო?“

თვითშეფასების მეთოდი- ეხმარება მოსწავლეებს თითონ ჩაერთოს საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში, განუვითარდეს საკუთარი მიღწევების დონეს, სწორად შეფასების უნარს, შეაძლებინებს გაუმჯობესების გზების განსაზღვრას. თვითშეფასების მრავალფეროვანი ფორმა არსებობს. შესაძლოა იყოს შემდეგი ზოგადი პუნქტები:

- რა გავაკეთე დღეს;
- რა გავაკეთე წარმატებით;
- ვისთან ერთად ვიმუშავე;
- რა მინდა უკეთ გავაკეთო და ა.შ.

თვითშეფასების პროცესის საფეხურები:

კომენტარი და გამოხმაურება- მიმდინარე შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. ეს არის შეფასებითი ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი ან თანაკლასელი აწვდის მოსწავლეს კონკრეტული პასუხის ან დავალების შესრულების ხარისხის შესახებ. იგი მოიცავს პასუხის სისწორის დადასტურებას, შექებას, გამხნევებას, რჩევას, მოწოდებას, შეცდომის აღნიშვნას, გასწორების გზას.

კომენტარი და გამოხმაურება შეიძლება იყოს: ზეპირი და წერილობითი, კონკრეტული, ობიექტური, კეთილგანწყობილი, კონფიდენციალურიც, ტაქტიანი, მოტივირებული, გაუმჯობესებისკენ მიმართული.

კომენტარი და გამოხმაურება ეხმარება მოსწავლეებს გააკონტროლოს ცოდნის მიღების პროცესში მისი როლი და ადგილი, გააცნობიეროს საკუთარი წარმატება ან წარუმატებლობა, ისწავლოს კრიტიკის, შენიშვნის გაზიარება, უკეთესი გზის განსაზღვრა. ქართულ ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე გამოიყენება კომენტარი და გამოხმაურება შემდეგნაირად:

- ერთი კითხულობს რეფერატს,ორი მოსწავლე აკეთებს კომენტარს.
- საშინაო დავალების შესრულების შესახებ კომენტარი.
- ერთი წყვილის ან ჯგუფის მიერ შესრულებულ ნამუშევარზე მეორე წყვილის ან ჯგუფის კომენტარი.

აუცილებელია განსაზღვრული იყოს-რაზე, რატომ, როგორი კრიტერიუმით იქმნება წარმოდგენილი კომენტარი ან გამოხმაურება. მაგ: მოსწავლე საუბრობს თემაზე ,,ნოდარ დუმბაძის წერილები“ (VII კლ) კომენტარი ან გამოხმაურება:

- სხვადასხვა ფუნქციური სტილისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება.
- ზეპირი თხრობის დამახასიათებული ნიშნების გამოყენება.
- მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვების მართებულად გამოყენება.
- აუდიტორიასთან ურთიერთობა.

კომენტარი ან გამოხმაურების კრიტერიუმები განისაზღვრება მასწავლებლის ან მოსწავლის მიერ. თავდაპირველად აღინიშნება დადებითი, შემდეგ შენიშვნები, კრიტიკა, სურვილები. გაკვეთილზე ეფექტურია შეფასების ისეთი ფორმის გამოყენება, როგორიცაა პრობლემის გადაჭრის, პრობლემის შეფასება. იგი ეხმარება მასწავლებელს გამოიკვლიოს საერთო სირთულეები, რომელიც ხელს უშლის მოსწავლეს სწავლაში, გაგებაში,გამოიკვეთოს მოსწავლეთა შესაძლებლობების დონე, ნათელი გახადოს მიღწეული შედეგები და მისაღწევი ამოცანები. ხოლო მოსწავლემ კარგად უნდა იცოდეს პრობლების გადაჭრის შესაძლო ეტაპები, პრობლემის განსაზღვრა, შესაფერისი მასალების შეგროვება, პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა. გადაჭრის სხვადასხვა ხერხის მოფიქრება, საუკეთესო გზის შეფასება, რისკის ფაქტორის გათვალისწინება.

შეფასების ფორმა ინსტრუმენტით: თემა-ხალხური ზღაპარი ,,ეთერი".

პრობლემები:

- მკითხველის თანაგრძნობა-შეყვარებულ აბესალომს თუ შეყვარებულ მურმანს.
- როდის და როგორ აღმოჩნდა აბესალომი თავისივე გადაწყვეტილების მსხვერპლი.
- ობლობით უბედური ეთერი გადედოფლებითაც ვერ გახდა ბედნიერი.

რჩევები მოსწავლეებს:

- აირჩიეთ ერთ-ერთი პრობლემა. დააკვირდი,რაშია პრობლემა და განიხილე გადაჭრის ყველა სავარაუდო გზა.
- დაგეგმე დრო.
- მნიშვნელოვანია თუ რა გზით,რა ფორმით გადაჭრით პრობლემას,სასურველია ტექსტზე დაყრდნობით ეძებოთ გადაწყვეტის გზა.
- გთხოვთ,თქვენი ნამუშევარი წარმოადგინოთ ნაბიჯ-ნაბიჯ განხილვის მეთოდით.

თხზულების ანალიტიკური შეფასების სქემა- გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა ცოდნა უნდა შეფასდეს ორი კომპონენტით. მაქსიმალური ქულა 6.

დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა	**ქულა**	**გრამატიკულ-ლექსიკური კომპონენტი**	**ქულა**	**ქულათა ჯამი**
დავალების მოთხოვნას პასუხობს. აზრი მკაფიო და თანმივდევრულია	3	გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები უმნიშვნელოა	3	
აზრი მკაფიო და თანმიმდევრული ზოგ შემთვევაშია.დავალების მოთხოვნებს პასუხობს	2	შეცდომების რაოდენობა ზოგრჯერ ხელს უშლის აზრის გაგებას	2	
დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ.აზრის გაგება ჭირს.	1	გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები	1	

თხზულების ჰოლისტიკური (მთლიანი) შეფასების სქემა- გამოიყენება იმ შემთვევაში, როცა შეფასების ორ ან მეტ კრიტერიუმად დაყოფა საჭირო არ არის. მოსწავლის პასუხი ფასდება ზოგადად და არა კონკრეტული მახასიათებლებით. მაქსიმალური ქულა 3.



ზეპირი კომუნიკაციის შეფასების სქემა-დავალების შესრულების წესი: წყვილებად დაყოფა.თითოეულ წყვილს მიეწოდება სხვადასხვა ჟანრის სურათი, ერთი მეწყვილე ისაუბრებს, მეორე შეაფასებს. აირჩევა საუკეთესო წყვილი და წახალისდება. წყვილების მოსამზადებელი მუშაობის დრო 2 წუთი.

დავალების პირობა: მოცემულ სურათზე დაყრდნობით შეადგინე და მოყევი ამბავი-რა ხდებოდა სურათის გადაღებამდე ორი საათის ადრე და რა მოხდა მის შემდეგ. დააზუსტე პერსონაჟთა ვინაობა, დაახასიათე ისინი, გადმოეცი ამბები, მიუთითე მოვლენათა თანმიმდევრობა, დრო და ადგილი.

პირობასთა სათანადობა	**ქულები**
იცავს დროის ლიმიტს	0-1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0-1
კომუნიკაციის უნარ-ჩვევები	
თანმიმდევრულად აღწერს/გადმოსცემს მოქმედებებს	0-2
განსაზღვრავს მოქმედების დროსა და სივცეს	0-1
საუბრობს გარკვევით	0-1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
იყენებს ნასწავლ გრამატიკულ კონსტრუქციებს,ფორმებს	0-1
იყენებს სათანადო ლექსიკას	0-1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
ავლენს ფანტაზიის უნარს,ორიგინალურობას	0-1
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0-1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10	

წერითი კომუნიკაციის შეფასების სქემა- დავალების პირობა: მოსწავლეებს მოცემული ექნებათ გაკვეთილის შესაბამისი ბიოგრაბიული ცნობარი,რომლის მიხედვით უნდა დაწერონ შესაბამისი ავტორის ბიოგრაფია.სადაც გამოიყენებენ ენობრივ კონსტრუქციებს: -მდე; -ით ადრე;- დან;-ის შემდეგ. სიტყვების მინიმალური რაოდენობა-130.

დავალების შესრულების წესი: ჯგუფებს მიეწოდება ავტორის შესაბამისი ბიოგრაფიული ცნობარი. ჯგუფი დაიყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილი შეასრულებს წერით დავალებას, მეორე ნაწილი გაასწორებს ნაწერს მოცემული სქემის მიხედვით. პრეზენტაციისთვის წარმოდგენილი იქნება ორივე ნაწილი.

პირობასთან სათანადობა	**ქულები**
იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს	0-1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს(წერს მოცემულ ბიოგრაფიულ ცნობარზე დაგრდნობით,იყენებს მითითებულ კონსტრუქციას)	0-1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციებს	0-2
აზუსტებს,როდის რა მოხდა	0-1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
იყენებს ნასწავლ გრამატიკულ კომუნიკაციებს,ფორმებს	0-2
იყენებს სათანადო ლექსიკას	0-1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0-1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10	

ზოგადი კომუნიკაციის შეფასების სქემა-გამოიყენება:პრობლემის გარშემო მსჯელობის, როლური თამაშის, დებატების შესაფასებლად, მაქსიმალური ქულა10. 0-ცუდი, 1-საშუალო, 2-კარგი.

კრიტერიუმები	**ქულები**
მსჯელობს გარკვევით და ამომწურავად,მოყავს ფაქტები და ამონაწერები,ციტატები,არგუმენტები	0,1,2
მეტყველებს მიმზიდველად,თანმიმდევრულად,ლოგიკურად	0,1,2
იყენებს ასაკისა და პრობლების შესაფერის ლექსიკას,მხატვრულ ხერხებს	0,1,2
საუბრობს ნელა და გარკვევით.ბგერები მკაფიოა,ინტონაცია,მახვილი დაცულია,რიტმი სწორია	0,1,2
იცავს დროის ლიმიტს	0,1,2

შენიშვნა:ნიმუშები აღებულია მენტორი მასწავლებელ ხათუნა ხალვაშის გამოცდილებიდან.

მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობის განმსაზღვრელი სქემა:

დადებითი მაჩვენებელი	**ყოველთვის 10-9-8**	**ხანდახან 7-6-5**	**იშვიათად 4-3-2**	**არასდროს 1-0**
გაკვეთილზე მიდის დროულად, მომზადებული				
სვამს კითხვებს, ითხოვს განმარტებებს, გამოთქვამს თავის მოსაზრებას				
მონაწილეობს ჯგუფის ან წყვილის მუშაობაში, ეხმარება თანატოლებს. ხშირად ირჩევენ ლიდერად				
მონაწილეობს კლასგარეშე აქტივობებში				
მუშაობს პროექტებზე				

თანამშრომლობითი უნარის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	**ქულა**
დისკუსიის პრინციპების გამოყენება და დაცვა	1
კონკრეტულ პრობლემაზე სხვადასხვა პოზიციიდან მსჯელობა	1
ქცევის მართვა,მომართვის ეტიკეტი	1
საუბარი	1
ინფორმაციის სხვებისთვის გაცნობის უნარი	1
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ჯგუფის ან წყვილებისთვის	1
სხვისი აზრის პატივისცემა	1
იუმორის,ემოციური მეტყველების გამოყენება	1
აუდიტორიასთან კონტაქტი	1
დროის ლიმიტის დაცვა	1
ჯამი	

პორტფოლიო,როგორც შეფასების ფორმა-სტუდენტის მიერ სწავლაში მიღწეული გამოცდილების ხარისხის განსაზღვრის ერთ-ერთ ინდიკატორად მიჩნეულია პორტფოლიოს შეფასება.

რეფლექსია-დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, თვითმართვადი სწავლის ნაწილი, კომპეტენციის ნაკრები, რომელიც შეესაბამება სასწავლო კურსის პროგრამას.

,,პორტფოლიო"- სტუდენტის მიერ შეგროვილი მასალების ნაკრებია, რომელიც მოიცავს: შეფასებულ ნამუშევარს, ფაქტებისა და მოვლენების აღწერას, დღიურებს, ილუსტრაციებს, ამონარიდებს და სხვა. ახდენს გარკვეული დროის განმავლობაში პროფესიული უნარებისა და საგნის ცოდნის ან კომპეტენციის განვითარების დემონსტრირებას. ის შეიძლება იყოს ,,ვებზე" დაფუძნებული,როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების უნარების დემონსტრირება.

პორტფოლიოს შეფასებით განისაზღვრება სტუდენტის მიერ მოპოვებული, შექმნილი მასალების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ხარისხი. პორტფოლიოს

წარდგენისას ხდება სტუდენტის ცოდნის, საკუთარი თვითკრიტიკის, სხვისგან შეფასების გათვალისწინების, შესაძლებლობების, პროფესიული უნარის გამოვლენა. პორტფოლიოს შედგენა მიმდინარეობს სასწავლო კურსის განმავლობაში, ხოლო მისი სისტემაში მოყვანა და დიზაინის გაუმჯობესება ხდება პრეზენტაციის დროს. მისი გამოყენება შესაძლებელია მასწავლებლად მუშაობის დროს, რომელიც უზრუნველყოფს მთელ რიგ საქმიანობაში მოსწავლის/სტუდენტის ჩართულობის ხარისხის ამაღლებას. სასურველია პორტფოლიო თანდათან შეივსოს და გამდიდრეს.

პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმები:



შეფასება საექსპერტო ბარათებით -ქულას განსაზღვრავს მასწავლებელი. პირობა:

- წინადადების დასახელება,სადაც ფაქტობრივი შეცდომა დაშვებული;
- წინადადების დალაგება კომპოზიციური სიზუსტით;
- მოქმედი პირის დამახასიათებელი თვისებების ჩამოთვლა;
- მოქმედი პირების შედარების ანალიზი.

შეფასება კითხვებზე პასუხის მიხედვით:

- კითხვები შინაარსის ცოდნის დონის შესამოწმებლად;
- კითხვები მოქმედი პირების დახასიათებისთვის;
- კითხვები პარალელების მოძიების უნარის შესამოწმებლად;
- კითხვები ნაწარმოებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად;
- სხვადასხვა თემის მიხედვით კითხვებს შეარჩევს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად.

შეფასება-ჩანახატი

- ჩანახატი თავისუფალ თემაზე;
- ჩანახატი პრობლემასთან მიმართებაში;
- ჩანახატი ნაწარმოების მიმართ, საკუთარი განცდების გადმოსაცემად.

თვითშეფასების სქემა- არის საკუთარი ცოდნის, გამოცდილების, კრიტიკული გადამუშავების უნარი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქმედების ანალიზს, გაცნობიერებას, შეფასებას, დაგეგმვას, კონტროლს. მისი გამოყენებით ვსაზღვრავთ თუ რაა მიღწეული,რამ განაპირობა წარმატება ან წარუმატებლობა.

მახასიათებლები	**ყოველთვის**	**ზოგჯელ**	**არასდროს**
ერთი თვალის გადავლებით ვხვდები რას ეხება ტექსტი			
კონტექსტით ვხვდები უცნობი სიტყვის მნიშვნელობას			
სანამ წერას დავიწყებ, ჯერ გეგმას ვადგენ			
ნაწერის შავ ვარიანტს ვამოწმებ და გადავწერ			
ვიცავ დროის ლიმიტს პასუხის ან წერის დროს			
გამოვხატავ ჩემს მოსაზრებას			
ჯგუფში ან წყვილში მუშაობისას ვცდილობ ხელი შევუწყო დავალების სწრაფად შესრულებას			

შეფასების რუბრიკები-არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა. მისი გამოყენებით მასწავლებელი აფასებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას ამა თუ იმ დისციპლინებში. პირველ სვეტში მოცემულია სხვადასხვა კონპონენტი, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლის მოსწრების შეფასება. შემდეგ სვეტებში მოცემულია აკადემიური მოსწრების სხვადასხვა დონე და მათი შეფასების შესაბამისი ქულები.

რუბრიკა ეხმარება მოსწავლეს, გაიგოს რას ითხოვს მისგან მასწავლებელი, როგორ შეფასდება მისი ნამუშევარი, რას მიაღწია და რა აქვს გასაკეთებელი.



შენიშვნა: თითოეული კრიტერიუმის ქვეშ მიეთითება თარიღი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს და მოსწავლეს დააკვირდეს შედეგის ზრდის დინამიკას.

ამრიგად, შეფასებისთვის ეფექტურია ისეთი ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, როგორიცაა მასწავლებლის დაკვირვება, რუბრიკა,პროექტი, თვითშეფასება, სხვათა შეფასება და ა.შ. რომელსაც მასწავლებელი ფიქრობს/გეგმავს გაკვეთილის თემის შესაბამისად. მისი გამოყენებით მასწავლებელი მოსწავლეებს დააინტერესებს და ჩართავს საგაკვეთილო პროცესში, ასევე ავითარებს კრიტიკულ, კომუნიკაციის, ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს.

&6 პრეზენტაცია როგორც შეფასების ფორმა

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა სწავლა-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა-პრეზენტაცია. ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდირე პრეზენტაციას განვიხილავთ, როგორც შეფასების ფორმას.

ადამიანმა საკუთარი ცოდნა და გამოცდილება რომ წარმოაჩინოს საჭიროა საჯარო გამოსვლები. საკუთარი თავის გამოვლენისთვის მნუშვნელოვანია დავიცვათ ვერბარული და არავერბალური კომუნიკაციის თვისებები. საჯარო გამოსვლის დროს აუცილებელია გამოვიყენოთ პრეზენტაცია, რათა მსმენელი დავაინტერესოთ და საინტერესო გავხადოთ მოცემული საკითხი. პრეზენტაცია აქტუალური გახდა დღესდეობით სხვადასხვა სფეროში და პროფესიაში. მაგ: ეფექტური პრეზენტაცია მნიშვნელოვანია ბიზნესითვის, გაყიდვებისთვის, სწავლისთვის, ტრენინგისთვის, ლექციის ჩატარებისთვის და ა.შ.

პრეზენტაცია არის გამოსვლა ან მოხსენება, რომელშიც ახალი იდეა, პროდუქტი ან ნამუშევარია ნაჩვენები და ახსნილი აუდიტორიისთვის, არის ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა სხვადასხვა ტექნიკური საშუალების დახმარებით ან მათ გარეშე. სიტყვა პრეზენტაცია ლათინური სიტყვიდან ,,praesento" მოდის, რაც ნიშნავს რაიმეს წარმოდგენას.

პრეზენტაციის წარდგენა შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით. მომხსენებელმა უნდა განსაზღვროს მიზანი, რათა ეფექტური პრეზენტაცია წარადგინოს. ზოგიერთს არ შეუძლია სრულყოფილად მიაწოდოს საკუთარი სათქმელი აუდიტორიას, რის გამოც არასრულფასოვნების გრძნობა დაეუფლება მსმენელს. ამიტომ მნიშვნელოვანია პრეზენტაციის წარდგენამდე მოემზადოს და გაითვალისწინოს აუდიტორის ასაკი და უნარ-ჩვევები. პრეზენტაციის მომზადების დროს უნდა განისაზღვროს - რა სახის პრეზენტაციას წარვუდგენთ აუდიტორიას? ეს შეიძლება იყოს:

- **ინფორმაციული**-ასეთი პრეზენტაციები იქმნება ისეთი აუდიტორიებისთვის, რომელთაც სჭირდება მნიშვნელოვანი დეტალების ახსნა, რომელიც ემყარება

ფაქტებს. მაგ: ლექციებისთვის, კლევის შედეგებისთვის, ტექნიკური ინფორმაციისთვის და ა.შ.

- **დამაჯარებელი**- ასეთი პრეზენტაცია მიზნად ისახავს აუდიტორიის დარწმუნებას კონკრეტული მოსაზრების დასაჯერებლად. მაგ: პროდუქტის ჩვენებაზე, დებატებზე, ინვესტორების დასაინტერესებლად და ა.შ
- **სასწავლო-** ამ ტიპის პრეზენტაციები იქმნება აუდიტორიისთვის, რომელსაც სჭირდება კონკრეტული საკითხის ახსნა, განმარტება და მეთოდების მიწოდება. მაგ: სილაბულის ახსნა, პროგრამის ან მანქანის სახელმძღვანელოს ახსნა და ა.შ.
- **დამაფიქრებელი-** ასეთი პრეზენტაციები მიზნად ისახავს აუდიტორიის დაფიქრებას გარკვეულ თემაზე. მაგ: სამოტივაციო პრეზენტაცია,რელიგიური გამოსვლა და ა.შ.
- **გადაწყვეტილების მიღება-** ზოგიერთი პრეზენტაცია ტარდება იმ ფაქტებისა და ციფრების წარსადგენად,რომელიც აუდიტორიას გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. ეს მოიცავს ბიზნეს პრეზენტაციას ბაზრის წილის, მოგების, პროექტის და კონკურენციის შესახებ, რომელიც ეხმარება საბჭოს წევრებს კომპანიის სამომავლო საქმიანობის გადაწყვეტაში.

პრეზენტაციის მომზადების საფეხურები-აუდიტორიაში შესვლამდე მნიშვნელოვანია პრეზენტაციის მომზადება, რომელიც ოთხი ეტაპისგან შედგება:

- **ჩაფიქრება**- პრეზენტაციის დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია ადგილი სადაც შევძლებთ ფიქრს თუ რისი თქმა გვჭირდება აუდიტორიისთვის? რისთვის არის პრეზენტაცია? რა ნაბიჯები უნდა განვახორციელოთ წარმატებისთვის?
- **შინაარსის შექმნა-** დიზაინის შექმნა, სათქმელის სტრუქტურილება, სლაიდების შედგენა და დახვეწა, პრეზენტაციის რედაქტირება;
- **რეპეტიცია-** წარდგენამდე გადახედეთ პრეზენტაციას და გაიარეთ რეპეტიცია;
- **მიწოდება-** აუდიტორიასთან ყოფნა და მასალის ეფექტურად მიწოდება, დაინტერესება საკითხით.

პრეზენტაციის მომზადების დროს ვითვალისწინებთ თუ რა არის ჩვენი მიზანი? ვისთვის ვქმნით? რა შედეგს და რეაქციებს ველოდებით აუდიტორიისგან? ამიტომ განისაზღვროს უნდა შემდეგი დეტალები:

- შევარჩიოთ შესაბამისი თემა და შინაარსი;
- გავითვალისწინოთ აუდიტორიის საჭიროებები-რა ზომისაა აუდიტორია? რამდენი ადამიანი დაესწრება?
- მოვამზადოთ პრეზენტაციის ტექნიკური საშუალებები და ადგილი-რომელ დამხმარე საშუალებებს გამოვიყენებთ, ასევე მნიშვნელოვანია ოთახის განათება;
- შევქმნათ და მოვაგროვოთ იდეები, ვიყოთ ინოვაციურები და გაბედულნი;
- მივუთითოთ მასალები, კვლევები, სტატისტიკა, ციტატები;
- გავითვალისწინოთ შეკითხვები,ვიცოდეთ ჩვენი საგანი;
- განვსაზღვროთ დრო.

საპრეზენტაციო პროგრამები და სტრუქტურა-პრეზენტაციის წარდგენის სამი ძირითადი საშუალებაა:

- **ზეპირი**- მომხსენებელი პირდაპირ ესაუბრება აუდიტორიას, ყოველგვარი ვიზუალური საშუალებების გარეშე. ასეთი პრეზენტაციის წარდგენისას შეიძლება რთული იყოს, აუდიტორიის მართვა. თუ ზეპირ პრეზენტაციას დააპირებთ უნდა გქონდეთ პრეზენტაციის კარგი უნარ-ჩვევები და აუდიტორიისთვის საინტერესო თემა.
- **ვიზუალური**- ეს შეიცავს სურათებს და ვიდეოს,რომლებიც აუდიტორიის წინაშე გადის. პრეზენტაცია შეიცავს სლაიდს ან ვიდეოკლიპს ტექსტით, რომელსაც აუდიტორია კითხულობს.
- **ზეპირი და ვიზუალური**-ამ სტილის პრეზენტაცია ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომლის დროს წამყვანი ზეპირი და ვიზუალური ახსნის გამოყენებით წარადგენს პრეზენტაციას.

სიტყვა პრეზენტაციას ზოგიერთი ,,სლაიდებს“ უკავშირებს, სადაც მნიშვნელოვანი არის ინფორმაციის შეგროვება, სლაიდებზე აკინძვა და წარდგენა. მაგრამ ბიზნეს, სწავლება-სწავლის თუ კორპორატიული პრეზენტაციებისთვის

მნიშვნელოვანია დაგეგმვა და შესაბამისი **პრეზენტაციის პროგრამები** მაგ: ყველაზე პოპულარული პროგრამა Power Point, არსებობს სხვა ინსტრუმენტები Google Sides; Power Pint Online; Prezi; Keynote; Present.me; live Presentations; SlideShare.

სლაიდის დიზაინი-სასარგებლო იარაღია პრეზენტაციის წარდგენისთვის, რომლის აგებისას უნდა განვსაზღვროთ შესავალი, ძირითადი ნაწილი, მიზანი, შეჯამება და დისკუსია. პრეზენტაციის დაგეგმვისას გავითვალისწინოთ ,,ოქროს სამი პრინციპი“:

სლაიდის აგებისას ვაკვირდებით ტექსტის შრიფტს, ფონს, ფოტო/ვიდეოს და გრაფიკის დიზაინს. **პირველ სლაიდზე ვუთითებთ**- თემის სათაურს, პრეზენტაციის ავტორს და თარიღს. **მეორე სლაიდზე**- მიზანი და შედეგი. **მესამე სლაიდი**- ბლოკის შინაარსი. **მეოთხე სლაიდი**- ბლოკის შინაარსი. **მეხუთე სლაიდი**- წინარე სლაიდების შეჯამება. სლაიდები შეიძლება ძლიერ იარაღად ჩაითვალოს თუ სწორად გამოვიყენებთ. პრეზენტაციის სლაიდების გაშვებისას უნდა დავიცვათ წესები:

- სასურველია სლაიდზე მცირე ტექსტი იყოს ნაჩვენები-**ზედმეტად არ შეავსოთ სლაიდი;**
- შევუსაბამოთ თემის შესაბამისი სურათები ან გრაფიკი, რათა უფრო აღქმადი იყოს აუდიტორიისთვის-**სურათზე ასახულია შესაბამისი ინფორმაცია;**
- წაუკითხეთ სლაიდზე მოცემული ტექსტები, რადგან ზოგიერთი შეიძლება ვერ ხედავს მოცემულ ტექსტს თუ სურათს-**წაუკითხეთ ინფორმაცია**;
- საკმარისი დრო მიეცით მსმენელს თითოეული სლაიდის მოსასმენად და აღსაქმელად-**არ დააჩქაროთ სლაიდი;**
- **გაიმეორეთ ფონის და შრიფტის ფერები, სლაიდზე 8 ხაზზე მეტი ტექსტი არ დაიტანოთ.**

სლაიდ-შოუს წარსადგენად უნდა დავიცვათ 10-20-30 წესი. უნდა არსებობდეს მაქსიმუმ 10 სლაიდი, პრეზენტაცია 20 წუთზე მეტხანს არ გაგრძელდეს, შრიფტის ზომა უნდა იყოს 30 pt, რათა სმენელთათვის მარტივად წასაკითხი გახდეს.

პრეზენტაციის წარდგენა-პრეზენტაციის სრულად მომზადების შემდეგ მნიშვნელოვანია ეფექტური წარდგენა, რომლის დროს ვითვალისწინებთ დრესკოდს და ჩვენი მეტყველების ენას. წარდგენამდე უნდა გავიაროთ რეპეტიცია და შევამოწმოთ ადგილი, სადაც ვაპირებთ წარდგენას (სკამების განლაგება/რაოდენობა, საჭირო ტექნიკის მოწესრიგება, ოთახის განათების განსაზღვრა). რეპეტიციის გავლის დროს გავაკეთოთ რედაქტირება.

საჯარო გამოსვლა ზოგიერთ ადამიანს უჭირს, აქვთ გარკვეული შიშები ან სტრესი. ასეთი სიტუაცია თავიდან რომ ავიცილოთ უნდა შევისწავლოთ საკუთარი სხეულის ენა, გავითვალისწინოთ მეტყველების ძირითადი მიზნობრივ-ფუქციონალური სახეები:

- **საინფორმაციო სიტყვა**-ცოდნაზე დამყარებული განცხადება;
- **არგუმენტირებული სიტყვა-** მსმენელთა დარწმუნებაზე დაგეგმილი მტკიცებულება;
- **ემოციური სიტყვა-** მსმენელთა განწყობილების შექმნის შესაძლებლობა.

ეფექტური პრეზენტაციის წარდგენისთვის ვითვალისწინებთ შემდეგ თვისებებს:

დისტანციური სწავლება პრეზენტაციის სახით- მსოფლიოში განვითარებულმა ეპიდვითარებამ გამოიწვია განათლებაში, ბიზნესში და სხვადასხვა სფეროში დისტანციური ანუ სახლიდან გაუსვლელად სწავლა და მუშაობა. ადამიანებს მოუწია შეგუებოდნენ ამ ვითარებას და სახლიდან გაუსვლელად დაემყარებინათ კომუნიკაცია ერთმანეთთან, რამაც შეცვალა ურთიერთთანამშრომლობა.

დისტანციური სწავლება/მუშაობა გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას ნებისმიერი ადგილიდან ტექნოლოგიების გამოყენებით. სახლიდან გაუსვლელად შეგვიძლია ვისწავლოთ ან ვიმუშავოთ მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, რომელიც გამოიწვია ტექნოლოგიების განვითარებამ.

დისტანციური სწავლება/მუშაობისთვის მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ



სხვადასხვა ინტერნეტ პლათფორმები მაგ: zoom; messenger; skupe; Teams-microsoft office; Google meet და ა.შ.

Zoom-აერთიანებს კომუნიკაციის ყველა საშუალებას: ვიდეოკონფერენციებს, ონლაინშეხვედრებს და ა.შ. ონლაინშეხვედრის დასაწყებად აუცილებელია რეგისტაციის გავლა და სხვების მოწვევა. მისი ფუნქციებია:

- ეკრანის გაზიარების ფუნქცია;
- ვიდეო და აუდიოვერსიების ჩანაწერების გაკეთება;
- დიდი ჯგუფების შემთხვევაში შესაძლებელია სხვადასხვა დამოუკიდებელი ოთახების გამოყოფა;

Skype- ვიდეო და აუდიო ზარების განხორციელებას იძლევა. მისი გამოყენებისთვის აუცილებელია გადმოწერა და რეგისტრაცია. მას ძირითადად იყენებენ კორპორაციული კომუნიკაციისთვის.

Microsoft Teams- ონლაინსაკომუნიკაციო პლათფორმა. სადაც შესაძლებელია ონლაინგაკვეთილების და შეხვედრების ჩატარება. ვიდეოზარის, გუნდების ორგანიზება და კალენდრის ფუნქცია აქვს. ამ აპლიკაციას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში აქტუალურად იყენებენ.

Google meet- არის ვიდეო-საკომუნიკაციო სერვისი. მისი ფუნქცია:

- ორმხრივი ან მრავალმხრივი ვიდეო ზარები;
- ზარის დაშიფრვა ყველა მომხმარებელშორის და ხმის გაუქმების აუდიო ფილტრი;
- ინტეგრაცია google-ს სივრცეში;
- ეკრანის გაზიარება- ცხრილების, პრეზენტაციების.

ამ პროგრამას იყენებენ საქართველოს ზოგიერთი სკოლები და უნივერსიტეტები დისტანციური სწავლებისთვის.

დისტანციური მუშაობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი რჩევები:

გამოვყოთ სამუშაო სივრცე

- გამოვყოთ სამუშაო და საცხოვრებელი სივრცე ერთმანეთისგან, ასევე მნიშვნელოვანია ავუხსნათ ოჯახის წევრებს რომ გარვეული დრო ვართ სამუშაო სივრცეში.

განვსაზღვროთ დროის ლიმიტი და შესვენება

- გავანაწილოთ სამუშაო დრო ისე, რომ არ გადავიტვირთოთ და დავისტრესოთ.

შევქნათ კომფორთული სამუშაო სივრცე

- გავაკონტროლოთ ტემპერატურა, ხმაურის დონე და უზრუნველვყოთ შესაბამისი განათება.

ეკრანთან ჯდომის წესი

- ეკრანი განათავსეთ თვალების სიმაღლეზე;
- გამოსახულება ეკრაზე უნდა იყოს მკვეთრი და არ უნდა ციმციმემდეს, რათა თვალები არ დავძაბოთ;
- ჯდომისას მაჯები უნდა ეხებოდეს სხეულს, გავიმართოთ წელში, მუხლები მოვხაროთ 90-110 გრადუსით, ტერფები ეხებოდეს იატაკს.

პრეზენტაციის შეფასების ფორმები- როგორც შეფასების ფორმა, რომლის მეშვეობით ფასდება შედეგები, მიღწევები.პრეზენტაცია არის პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევით, შემოქმედებით, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პრეზენტაციის მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.შეიძლება ჯგუფს მიეცეს დავალება შექმნან პრეზენტაცია საგანში გარკვეულ თემაზე.

პრეზენტაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია მთელი ჯგუფი, ერთად ამზადებენ საბოლოო ნამუშევარს. პრეზენტაცია გარკვეული დროის განმავლობაში იქმნება და მუშავდება. პრეზენტაციის წარდგენისას შეფასების კრიტერიუმები შეირჩევა თემის შესაბამისად მაგ: პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნის სიცხადე, კვლევის მეთოდები, ცოდნის, გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარის გამოვლენა.

შეფასების კრიტერიუმები: თემისა და პრობლემის განსაზღვრა; მიზნის-ამოცანების დასახვა; არგუმენტირებული მსჯელობა; საპრეზენტაციო მასალის მომზადება; აუდიტორიის განსაზღვრის უნარი; წერისა და მეტყველების კულტურა; ენობრივი ნორმების დაცვა; შემოქმედებითობა.

აქტივობები:პრეზენტაციის მომზადება;მკაფიო სტრუქტურის ჩამოყალიბება; აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის შენარჩუნება; მჭერმეტყველება.

დამატებითი კომპონენტები: დებატები,იუმორი.

პრეზენტაციის შეფასების კომპონენტები,რომლებიც ფასდება ათი ქულით:

კრიტერიუმები	**ქულები**
საინტერესო შესავალი	1
კვლევის წარმოჩენის უნარი	2
პრობლემის გადაჭრის გზების შემოთავაზება	1
ლოგიკური ჯაჭვი	1
საუბრის გამართულობა	1
თვალსაჩინოების გამოყენება	1
აუდიტორიასთან კონტაქტი	1
ინფორმაციის ფლობის უნარი	1
დროის ლიმიტის დაცვა	1

ამრიგად, როგორც შეფასების ფორმა განსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოს ხარისხს, ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროდუქტის შექმნას. განსაკუთრებით ეფექტურია პრეზენტაცია ონლაინ სწავლების პროცესში.

დასკვნა

მოსწავლის შეფასება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასკოლო ცხოვრებაში. მისი გამოყენებით მასწავლებელი ეცნობა და ავითარებს მოსწავლეების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელს მოსწავლის შეფასებაში ეხმარება ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული საგნობრივი შეფასების ფორმები და სქემები. სწავლება-

სწავლა რომ ეფექტურად წარიმართოს და მოსწავლეებში მივაღწიოთ შესაბამისი შედეგი მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ შეფასების ფორმები, რომელიც ორი სახისაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასების ეს ფორმები გამოიყენება ყველა კლასში და საფეხურზე, რომელიც საერთოა ყველა სკოლისთვის და საგნისთვის.ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს მოსწავლის შეფასების ფორმებს,სქემებს და საგნის,საფეხურის დაძლევის ქულებს.

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს შეფასების კომპონენტებს ქართულ ენაში, როგორც სახელმწიფო ენისთვის, ასევე ქართულის,როგორც მეორე ენისთვის, სადაც თავმოყრილია მოსწავლის მისაღწევი შედეგები და უნარ-ჩვევები. სკოლაში ყოველი საგნისთვის განსაზღვრულია სემესტრული და წლიური შედეგები, რომელიც მოსწავლემ უნდა დაძლიოს სწავლა-სწავლების დროს. მასწავლებლის მოვალეობაა გამოიყენოს შესაბამისი შეფასების ფორმები, რაც მოსწავლეს დაეხმარება შედეგის მიღწევაში და მოტივაციის ამაღლებაში. შეფასების კომპონენტები, როგორც ქართულში,ასევე არსებობს სხვადასხვა საგნის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელშიც განსაზრვრულია შესაბამისი მისაღწევი შედეგები თავისი შეფასების ფორმებით.

მოსწავლის ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია მონიტორინგი, შემოწმება, შეფასება და ანალიზი.მონიტორინგის/შეფასების გზით მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა და გაიაზროს რა იცის და რაში სჭირდება დახმარება, მშობლები ჩართული არიან ბავშვების სწავლება-სწავლაში, ხოლო მასწავლებლებს ეხმარება დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამისი აქტივობები/მეთოდები, სკოლას საშუალება ეძლევა მოსწავლის შეფასების გზით გამოავლის მისი სუსტი/ძლიერი მხარეები თითოეულ საგანში, რომლის დაძლევაში და გაუმჯობესების მიზნით იზრუნებს მასწავლებლების, ფსიქოლოგის, მშობლის ჩართულობით. მონიტორინგი არის მონაცემთა შეგროვების პროცესი, სიტუაციის მუდმივი ანალიზი და მეთვალყურეობა, რითაც შეგვიძლია თვალსაჩინო და ეფექტური გავხადოთ სასწავლო პროცესი. სკოლის მისიაა ჩამოაყალიბოს ქვეყნისთვის საჭირო და აქტიური მოქალაქე,რომელიც ცდილობს ჩამოაყალიბოს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება. ამიტომ მნიშვნელოვანია სწავლება-სწავლის დროს შესაბამისი

მონიტორინგი და შეფასება, რათა განვსაზღვროთ შესაბამისი მიზანი და დავგეგმოთ შესაბამისი აქტივობები შედეგის მისაღწევად.

მოსწავლის შესაფასებლად სხვადასხვა საგანში არსებობს შეფასების სქემები და ფორმები. ესენი შეიძლება იყოს მასწავლებლის დაკვირვება, მოსწავლის თვითშეფასება, სხვისი შეფასება, რუბრიკა, პორტფოლიო და ა.შ. შეფასების სქემების და ფორმების გამოყენებით მასწავლებელს საშუალება ეძლევა განსაზღვროს და დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი, მოსწავლეების ცოდნის და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. შეფასების მიზნით ახალი სკოლის მოდელის მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ პრეზენტაცია, როგორც შეფასების მეთოდი, რომლის გამოყენება შეიძლება როგორც საგაკვეთილო პროცესში,ასევე დისტანციური სწავლების დროს. პრეზენტაციის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობითი და კვლევითი მეთოდების უნარ-ჩვევები. პრეზენტაცის დროს ფასდება მოსწავლის შემდეგი კომპონენტები: საინტერესო შესავალი, კვლევის გამოყენების მეთოდი, ლოგიკურობის ჯაჭვი, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოების გამოყენება, დროის ლიმიტის დაცვა და ა.შ,რომლის გათვალისწინებით მოსწავლეები მოტივირებული და აქტიურად ჩართული იქნება სასწავლო პროცესში.

ამრიგად, შეფასება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის განვითარებაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს შეფასების რუბრიკა,რათა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და ახალი ცოდნის შეძენის მიზნით დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები/მეთოდები.

დანართი

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში შევიმუშავე სხვადასხვა მიზნის შემცველი პრეზენტაციები.

პრეზენტაციამ აპროპაცია გაიარა განათლების მეცნიერების ბაკალავრის, მაგისტრის ფაგულტეტზე, რომელმაც მხარდაჭერა მოიპოვა. ნაშრომში ჩართული

მაქვს რამდენიმე პრეზენტაცია, რომელიც დისკზე ჩაწერილი თან ერთვის დანართის სახით.

პრეზენტაციები განკუთვნილია მასწავლებლისა და მოსწავლეებისთვის.

პრეზენტაცია № 1 სადამრიგებლო საათი ,,ნუ განიკითხავ“- მიზანი: ვისწავლოთ ერთმანეთის დაფასება, პატივისცემა;ადამიანური ღირებულებების დაფასება; საკუთარი თავის და სხვისის შეყვარება.

პრეზენტაცია № 2 სადამრიგებლო საათი ,,რით მოიპოვება სიყვარული?“- მიზანი: ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა; სიყვარულის ფართო ცნების განმარტება და გაცნობიერება; ადამიანური ღირებულებების განვითარება; ჩემი, სხვისი ცხოვრებისეული მაგალითით ვისწავლოთ ერთმანეთის პატიება და სიყვარული.

პრეზენტავია№ 3 სადამრიგებლო საათი ,, ბუნება ჩვენს ირგვლივ“- მიზანი: გავიცნოთ საქართველოს ულამაზესი ადგილები; ვისწავლოთ ტყის მოვლა და პატრონობა; გავიცნოთ ტყის ბინადრები და ვისწავლოთ მასზე ზრუნვა; შევიყვაროთ, ვიზრუნოთ, მოვუაროთ ტყეს.

პრეზენტაცია №4 ,,მშობელთა ჩართულობა“- საუბარია მშობლების ჩართულობაზე სასწავლო პროცესში,რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვის სწავლება-სწავლის შეფასების დროს და მათი ცოდნის,უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით.

პრეზენტაცია№5 სადამრიგებლო საათი ,,არავერბალური კომუნიკაცია“- მიზანი: არავერბალური კომუნიკაციის გაცნობა; არავერბალური კომუნიკაციით ადამიანის გრძნობების ჟესტიკულაციის გაცნობა და განვითარება.

პრეზენტაცია №6 ,,ბავშვის მიმართ ძალადობა“-საუბარია ძალადობის ფორმებზე და შედეგებზე,ასევე სკოლაში მასწავლებელმა რა სტრატეგიები უნდა გამოიყენოს ძალადობის აღმოსაფხვრელად. მისი გათვალისწინება მნიშვნელოვანია მოსწავლის სწავლება-სწავლის შეფასების დროს.

პრეზენტაცია№7 ,,დანგრეული ოჯახების ატმოსფეროში ბავშვების დახმარება“- განხილულია ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა,რომელიც მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლის სწავლა-სწავლების შეფასების დროს.

პრეზენტაცია №8 ,,ოჯახიდან გაქცევა პრობლემიდან გამოსავალია თუ უკან დახევა?“- განხილულია მიზეზები, რომლებიც იწვევს ოჯახიდან გაქცევას და ასევე მოყვანილია შესაბამისი მაგალითი როგორც ცხოვრებისეული, ასევე ლიტერატურული ნაწარმოებიდან. რომლის განხილვისას მოსწავლეებს განუვითარებს გარკვეულ ადამიანურ ღირებულებებს.

პრეზენტაცია №9 ,,მედიაპედაგოგიკა“-რეალობა და პერსპექტივები ქართულ რეალობაში“- საუბარია მედია განათლებაზე, რომლის დახმარებით საგაკვეთილო პროცესში დამატებით ინფორმაციის ჩართვას შევძლებთ და გვეხმარება ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

პრეზენტაცია №10 ,,წერის სტრატეგიები“-საუბარია საგაკვეთილო პროცესში გამოსაყენებელ სტრატეგიებზე,რომლის დროს ფასდება მოსწავლის ცოდნა და უნარ-ჩვევები.

პრეზენტაცია №11 ,,კითხვის სტრატეგიები“-საუბარია საგაკვეთილო პროცესში გამოსაყენებელ სტრატეგიებზე,რომლის დროს ფასდება მოსწავლის ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ლიტერატურული დასახელება

- ეროვნული 2018-ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 (ნაწილი I).
- მასწავლებლის 2014-მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.
- ეროვნული 2018-ეროვნული საგნობრივი გეგმა 2018-2024.

- მასწავლებლის 2019-მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა.
- გობრონიძე 2019- ა.გობრონიძის პედაგოგიკა.
- ლორთქიფანიძე 1995-დ.ლორთქიფანიძე პედაგოგიკა.
- გაგუა 2003- ვ.გაგუა პედაგოგიკა.
- ბასილაძე 2017-ი.ბასილაძე სწავლების,სწავლის და შეფასების მეთოდები.
- ბასილაძე 2015-ნ.ბასილაძე პედაგოგიკის ძირითადი საკითხები.
- კლიმბერტი 1981-ლ.კლიმბერტის პედაგოგიურ პროცესში მოსწავლის პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური საფუძვლები.
- ამონაშვილი 1998-შ.ამონაშვილი თანამედროვეობის პედაგოგიკა.
- ბოჭორიშვილი 2015-მ.ბოჭორიშვილის პრაქტიკული პედაგოგიკა.
- პედაგოგიური 2017- პედაგოგიური უნარები.
- ლექსიკონი 2015-ლექსიკონი განათლების მუშაობისთვის.
- ნოზაძე 2017-გ.ნოზაძე სასწავლო პროცესში მოსწავლეტა შეფასება.
- კიკვაძე 2012-ი.კიკვაძე მოსწავლის შეფასების ფორმები და მეთოდების ინტენსიური რესურსები.
- პრეზენტაცია 2020-პრეზენტაციის სასურველი ინტენსიური რესურსები.

ელექტრონული სასარგებლო რესურსები:

- https://safco.ge/wp-content/uploads/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%

E1%83%93-
%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-
%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98.pdf-
თქვენი ოფისი, თქვენ სახლში, დისტანციურად მუშაობის მართვა.

- http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/278402/1/Oratoruli_Xelovnebisa_Da_Zogadi_Ritorikis_Socialur-Filosofiuri_Safudzvlebi.pdf- ბ.მორჩხიძე 2018- ორატორული ხელოვნების და ზოგადი რიტორიკის სოციალურ-ფსიქოლოგიური და ლოგიკურ-გნოსეოლოგიური საფუძვლები.
- https://www.free-power-point-templates.com/articles/presentation-definition/- Presentation Definition & Complete Guide For Beginners.
- https://virtualspeech.com/blog/how-to-structure-your-presentation- How to structure your Presentation, with Examples.
- https://presentationgenius.info/presentation-environments-and-the-presentation-creation-process/- Presentation environments-and the presentation creation process
- https://www.businessballs.com/communication-skills/presentation-skills-and-techniques/- Presentation Skills and Techniques.